

მწყმმსი



მე ვარ მწყმმსი კეთილი: მწყმმსან კეთილან სული თვისი დახსლვის ცხოვრათათვის. იოან. 10—11.

მავვე ცხოვარი ჩემი წაწყმედელი. მსრუთ იყოს სიხარული ცაის შინა, ერთისთვის ცოდვილისა. ლუკ. 15—14.

მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მიმიენა და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

4399

№ 1—2

1883—1904

15—30 იანვარი

THE

უ ი ნ ა ა რ ს ი :

სალიბერატორო განაწოდება: ეხლა კი დროა ყურადღება მივაქციოთ და ჯეროვანი საშეაღება ვიხმაროთ, ლეკ. და მამბაშიის. — იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრება ქუთაისში 15 დეკემბერს 1903 წელს, დამწყისი. — საყურადღებო წერილმანი, პატარა კაცის. — წმ. ნინოს დღესასწაული. — ვაკეში, მთავარ-ლიაკ. ბ. ლუდუშურის. — ასანჯაბები და შენიშენები.

მავლა და მიწინაობა პრინციპალიზმის სარწმუნოებასა და კეთილ-ხმონაჯა: მოძღვრება, წმ. ნინოს დღესასწაული ქ. ქუთაისის სამღვდლო სასწავლებელთა მოწოდების შეკრებების წინაშე, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონილ-მირ. — ცხოვრება წმიდა-შობის მამისა ჩვენისა ნიკოლოზ საკვირველთა მაცემისა, მღ. ბ. კაპანაძის. — საუბარი დაბადებულან, ს. გარაქაძის. — მოსწონება, თქმული წმ. ნინოს დღეობის დღესად, ლეონილის მიერ. — საეკლესიო კითხვების განმარტება. — რედაქციის პასუხი. — საქორთუო კალენდარული ცნობანი. — განცხადებანი.

ჩვენი აქ დროა შურადღება მივაძვიროთ და გარკვევანი საშუალება ვიხმაროთ.

არც-და-ათი წლის წინედ ჩვენ ხშირად მოგვიდოდა წერილები და სტატიები ურწმუნოების და რელიგიური გულგრილობის წინააღმდეგ; ზოგიერთები თავის სტატიებში, განსაკუთრებით რუსები, დიდის კაპანაძის წყევლით ამტკიცებდნენ პირზე ჯერის გამოსახვის სამის შეერთებულის და ორი თითის ხელის გულზე დაკეცილ. არც ერთს ამისთანა სტატიებს ჩვენ აღვიღოს არ ვაძლევდით, რადგან ასეთი უ-

რილები ჩვენ მორწმუნე ხალხზე კულ გავლენას იქონიებდნენ. ერთ დროს ჩვენი ხალხის გასაფრთხილებლად ერთს საძაგელ მწვადლებების (Сектанты) მოძღვრებისა და მოქმედების გამოკვეთება სურდათ, იმ მწვადლებებისა, რომელნიც დამ-დამობით ქალიცა და კაციც ერთად აკრიზებდნენ და სამთლის გაქრობის შემდეგ ვინ იცის რასა შერებინ! მადლობა დემეტრს რომ ამ სექტანტების საქციელი აღარ გამოაცხადდა, იყო დრო, როცა საქორთუო არ იყო სი და ქადაგება ურწმუნოების წინააღმდეგ. მოძღვრები მართა მღვდლომოქმედებას



და დღესასწაულების ისტორიულ მოთხრობებს წარმოსთქვამდნენ, თორემ სხვაზე, ჩვენში მიანც, ბევრი საზრუნავი არა იყო-რა. დღეს სულ სხვაა. წერა-კითხვა და მწიგნობრობა გაერკელდა. ჩვენ ხალხსაც მოეძრა, განსაკუთრებით ქალაქებში და დაბებში, როგორც გადამღები სწულვება, ურწმუნოების თესლი. ეს თესლი, რასაკვირველია, ძლიერ მწარე ნაყოფს გამოიღებს მხოლოდ მათთვის, ვის გულში და გონებაშიაც იგი დაითესება და აღმოცენდება. ამისათვის სწორედ დრო არის მწყემსთა მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთ სამწყსოს.

აქრძალვა ცული მიმართულების წიგნაკებისა და დაშლა ურწმუნოებაზე ქადაგებისა და წერისა დღევანდელ დროში ჩვენში თითქმის შეუძლებელი შეიქმნა. ცული შინაარსის წიგნაკების აქრძალვის დღეს სრულებით არა აქვს მოსალოდნელი შედეგი. ამისთანა მახინჯი შინაარსის წიგნაკები ჩვენს სახელმწიფოში უმეტესად მრავლდებიან, რადგან აქრძალული წიგნის წკათება უფრო საინტერესოდ მიიჩნევა შეუძლებელ საზოგადოებას. ამით სარგებლობენ ზოგიერთები და უმეტესად ვრცელდება საზოგადოებრივი შინაარსის წიგნაკები სარწმუნოების შესახებ.

შემცდარ აზრად მივიჩნია ის, რომ ნება არავის ეძლევა დაუწლილებით გამოაშკარავოს მახინჯი მოსახრება ზოგიერთ აღკრძალულ წიგნაკებისა და პასუხი გასცენ. უცხოეთში ყველას აქვს ნება თავისუფლად წერისა და ლაპარაკისა, ამისათვის ამისთანა აღკრძალულ წიგნაკებს არავითარი მნიშვნელობა და ვასავალი არა აქვს. საქირა პუხის ვაცებმა, სიტყვას სიტყვით, დაუფრიღოს დაწერილით და დაბეჭდილს დაბეჭდილით... აბა ვაგისინჯოთ ჩვენ უფრო ფილოსოფიოსთა მოსახრებანი, თუ რაზე ამყარებენ იგონი თავიანთ ურწმუნოებას.

ამბობენ ზოგიერთი ურწმუნონი, რომ სარწმუნოება ადამიანს აძინებსო, საზოგადოების წინსვლას აბრკოლებს და კეთილ-დღეობას სპობსო.

ასეთი აზრი ამ მახინჯ მწყურალთა უსუსური ძე ყოველ სიმართლეს მოკლებულია. წინააღმდეგ, ქეშმარიტი სარწმუნოება არის საუკეთესო წყარო მოძრაობისა, პროგრესისა და კეთილდღეობისა. ქეშმარიტი სარწმუნოება არის შენახველი ხალხისა განხრწნისა და ჩრობისაგან. ქეშმარიტი სარწმუნოება იცავს ჩვენს გაქრძობისაგან ისე, როგორცა მარილი დაიცავს ამაღლისაგან.

როდის და რომელი სახელმწიფოს ურწმუნო ხალხი იყო ბედნიერი და ძლიერი? რომელი ურწმუნო საზოგადოება სტკებოდა კეთილდღეობით რით იყო მტკიცე, ძლიერი და მტერია თავზარ დამცემი საქართველოს ხალხი მრავალ საუკუნოებში ნუ-თუ სამღვდლოება და სარწმუნოება ხელს უშედიდნენ მათ? საქართველო რა იყო სამხატვროებას მიიღებდა? იგი ვფლურად სცხოვრობდა, მაგარ ქრისტეს სარწმუნოების მიღების შემდეგ იგი შეიქმნა ბედნიერი, ძლიერი და ამ სარწმუნოების წყალობით სტკებოდა კიდევ კეთილდღეობით. ყველ შემოსეული ხალხი ნიდავ ცდილობდა სარწმუნოების დასუსტებას, ვინაიდან დარწმუნებულნი იყვნენ რომ ურწმუნო საქართველოს სრულებით ძალ მოაკდებოდა რე ყველას საქელი შეიქმნებოდა. დღეს თუ საქართველო დასუსტებული და დაძაბუნებულია, ერთ-ერთი მიზეზი ამისი არის სარწმუნოების დაქვეითება. ამ სარწმუნოების დასუსტებით ჩვენი ახალ ურწმუნოების მოქადაგნიც ხელს უწყობენ სრულებით დამხობასა და განადგურებას...

ამაზელ მოგვიგებენ ზოგიერთები, რომ ეხდნელი სამღვდლოება სრულებით არა ჰკავს ძენ დროის სამღვდლოებასაო. დავითანხმებით ჩვენ ამ ბატონებს ძე ვიტყვით, რომ მართლაც, ეხლანდელ მღვდლები ყველა ვერ შევედრებით ძველ მღვდლ სარწმუნოების სიმტკიცით, კეთილწინებითა სამწყსოსათვის თავდაუზოგველის სამახუროთ, მაგრა ამით არავის არ აქვს ნება მთლად უაზრპოს სარწმუნოება და მხეცს მიემსვასოს. „სოქია ვერტრამ გულსაშინა თვისსა: არა არა ღმერთი, განოცყენენ და ბილწ იქმნენ იგინი“. მღვდლის ნაკულულებებს სხვა არის და უარის ყოფა მისა რაც კაცის უფიბრ ფასეს კუთვნილებას უკაცესს—სულ სხვა არის.

ჩვენში ზოგიერთი ურწმუნონი ვითომც თავი აზრით ჰპაძავენ უცხოეთის ხალხთა. რა უსუსურობაა!.. აბა დავაკვირდეთ და გამოვიკვილოთ უცხოეთის ხალხის ქრისტიანული სარწმუნოება. სანამ რომელიმე მთელი სახელმწიფოს ხალხს სარწმუნოებაზე ვიტყოდით რამეს, მოვიყენებოთ ზოგიერთი პირები, რომელთაც ჩვენი ურწმუნონიც-კი ყველაფერში აღმერთებენ და აღდებენ. პირველი ღრმად ნასწავალი კაცი ფრანგი პასტერი ისე ძლიერად აღსავსე იყო სარწმუნოებით, რომ ყოველ მის მცნობს აკვირებდა. შესანიშნავი და უგანათლებულესი კაცი




ინგლისელი გლადსტონი ღრმად მორწმუნე ქრისტიანე იყო და კვირა-უქმე დღეებში ყოველთვის ეკლესიაში დადიოდა წირვა-ლოცვაზე. საზოგადოდ არა სრული განათლება და ის მზინჯი განათლება, რომლითაც აღტურებიანი არიან ჩვენი ურწმუნო ვეზატონები და ბიქ-ბულქა მწერლები, რასაკვირველია ქეშმარიტ სარწმუნოებასთან ვერ მორგდებიან ხოლმე. მაგრამ ვისაც ქეშმარიტი განათლება მიუღია ისინი ყოველთვის ნამდვილ მორწმუნენი გამხდარან...

აბა გადავთავლიეროთ უცხოეთას სახელმწიფონი ქრისტიანულ სარწმუნოების მხრივ. რითია ინგლისის სახელმწიფო მდიდარი, ძლიერი ღ განათლებული? განა იქ სარწმუნოება ხელს უშლის მთავრათლებას და ხალხი დამხნეულია? ავიღოთ მთავრე უგანათლებულესი და უმდიდრესი სახელმწიფო მერიკისა. რუსეთის სახელმწიფო ხომ სამავალითოდ სოკყავსთ სარწმუნოების მხრით. წაიკითხეთ რუსის მესამწიფეი მწერლის სტატია და შეიტყვეთ თუ რას მპობს იგი ამერიკელების სარწმუნოებაზე. აი ამ მესამწიფეი მწერლის აზრი:

„პროგრესისა და თავისუფლების მხარე, ამერიკა, გოგორიბ ვრცელი, მქუხარე სიკოცხლით არა მხოლოდ რუსეთისა და საზოგადოებრივად, არამედ ეკლესია-სარწმუნოებრივ მხრითაც. გარდა ამისა, ამერიკა არის ადგილი, სადაც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ისეთი ძალა მოიპოვა ადამიანთა სულზე, როგორც არსად არ არის მთელს ქვეყანაზედ. ქედგანაა, რომ იქ იმდენად გავრცელდა სარწმუნოებრივი მოთხოვნილება, რამდენსაც ვხლა მოკლედ უღია ევროპიულ ხალხთა უმეტესი ნაწილი; არმთ ისხნება ის, რომ იქ გაჩნდა, იზრდება და ვითარებამეტად დამანასიათებელი და საგულისხმო ოვლენა—ვევლისხმოთ „სამხრეთ-ამერიკის ახალგაზრდათა ქრისტიანულ კავშირთ“, გონიერულად მრფეკრებულთა. ამ კავშირთა აქვსთ კეთილი მიზანი—მოახდინონ კრებები, გამართონ ახალგაზრდათა სხდომები ძველი და ახალი აღთქმის შესასწავლად, ლოცვებისა, გლოებისა და ქადაგებათა მოსახმენად. ამ მიზნით ბევრმა ამ კავშირთაგანმა უკვე მოაწყო საკუთარი სახლი, ზოგან მეტად სრული და მშვენიერი, მდიდარი წიგნთ-საკავეები, რომელნიც კრა იშვიათად მხოლოდ იმ წიგნებს შეიცავენ, რომელნიც „დაბადების“ სპეციალურად შესწავლას შეეხება. გაიჩინა სკოლებიც-კი დაბადების შესასწავ-

ლად, რომლის შესწავლა ამერიკაში შეადგენს პირველ საფუძველს ყოველ სარწმუნოებრივ საქმეში. ქრისტიანულ კავშირთ გარდა, ახალ ქვეყანაში დიდი ზნეობრივი, აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს „ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებას. არსებულ ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებას თვითოველი ნამდვილი წვერი აძლევს აღთქმას: 1) ყოველ დღე ილოცოს და ყოველ დღე იკითხოს თავისი დაბადება. 2) მიიღოს მონაწილეობა ყოველ საკვირაო წირვა-ლოცვაში, გარდა ზოგ შემთხვევათა, რომელნიც ჩვეულებრივ წესს გარეშე არიან; 3) დაესწროს (გარდა იმავე შემთხვევათა) საზოგადოების ყოველ კრებას, და არა მარტო დაესწროს, არამედ მიიღონ მათში მოქმედებრივი მონაწილეობა (ლოცვისა, საუბრებისა და სხვ.). ქრისტიანულნი კავშირნი ახალგაზრდათა, რომელსაც ასი ათასობით ჰყავთ წევრები, და ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებანი, რომელთაგან „ბავშვთა შემწეობის საზოგადოება“ რამოდენიმე ასი ათასი წევრისაგან შესდგება, ხოლო „საზოგადოება ქალთა ქრისტიანულ კავშირისა ლოთობასთან საბრძოლველად“ ითვლის კიდევ უფრო მეტ წევრებს,—ესაა ადგილობრივ ეკლესიების ყოველ ცოცხალ ძალთა შეერთება სარწმუნოებრივ უვიცობის წინააღიდეგ საბრძოლველად.“

გვაცნობებს რა ხსენებულ საგულისხმო მოვლენას ამერიკელების საეკლესია-სარწმუნოებრივ ცხოვრებისას; რუსული ყურნალი „სტრანიკი“ სამართლიანად დასძენს: რამდენად უცნაურად და სამწუხაროდ გვეჩვენება ვისა, მაგრამ იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ ჩვენს მამულში, რომელიც ბუნებრივად არის მორწმუნე და მთლიან ქვეყნისათვის სარწმუნოებრივ მნათობად უნდა იყოს,—არ არის, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, არც ის სარწმუნოებრივი გრძნობის ძალა, არც ის ცხოველვ სიკოცხლის გამოცხადებული მოქმედება, რომელთაც ჩვენ ამერიკელებში ვხედავთ. ჩვენ ვამბობთ ამ კავშირთა და საზოგადოებათა დაარსების შესახებ საზოგადოებანი და წრეები საექიმო, სამთევბატო, ისტორიული, ფილოლოგიური, ფსიხოლოგიური, ფილოლოგიური, ლიტერატურული და სხვა, არიან საზოგადოებანი სამუსიკო, სახელოვნო, მაგრამ საზოგადოებანი, ანუ კავშირნი „დაბადების“ შესწავლის მიზნისათვის—ეს პირველი და უმთავრესი,



რაც უმეტესად საჭიროა, ჩვენ არა გვაქვს. მართალია, არის საღვთის მეტყველო ნაწერები, განათლებული საზოგადოებისათვის, გვაქვს ჩვენ სარწმუნოებრივ-ზნეობითი ნაწარმოებები, საუბრები უბრალო ხალხისთვის გარეშე წირვა-ლოცვისა, მაგრამ ესეც და ისიც მხოლოდ ქალაქებში სწარმოებს, ზოგჯერ სრულად უსიტემოდ. ამ საკითხში უფრო თავისებურია ის, რომ დრო ამ წასაკითხებისა, საუბრებისა და რეფერატებისათვის მტკიცე განსაზღვრულია. მათ დასაწყისს დროთ ჩვენ უნდა ჩავთვალოთ სექტემბერი, ზოგიერთ შემთხვევაში-ი ოქტომბერიც, დასასრულად—აპრილი; ასე რომ ტაძრების გარეშე ეს სარწმუნოებრივ-აღმზრდელი მოქმედება ძილს ეძლევა თითქმის წლის მთელი მეოთხედის განმავლობაში და იძინებს ზოგჯერ იმნაირ დროს, (შავ-მუშათა ეკლესიისადმი ლტოლვილების დროს), როდესაც მტკად საჭიროა მისი განსაკუთრებითი ძალა. ევკე არაა, რომ ზაფხულისა და მასთან სიცხების დამდეგს ამერიკაში ბევრი პასტორთაგანი თავისუფლებას ღებულობს და ბევრი ეკლესია სრულად იხურება, მაგრამ ამასთანავე იქ სარწმუნოებრივი სიცოცხლე არ სწყდება; დაბნული სახლებიდან ის გადღის ფაშლიდ ჰაერზე, სარწმუნოებრივ ბანაკში. იქ ტილოებისაგან კეთდება მოძრავი ტაძრები, სადაც ყოველ საღამოს იკრიბება ხალხი, რომ საღმრთო ღვთაებდენი იგალობენ და ქადაგება მოიხმონ. ამ უბრალო ბანაკთა გარდა ამერიკაში იმართება ამაზე უფრო რთულიც:—შენდებიან ისინი ჩვეულებრივად ქალაქ გარედ ზესდებიან მრავალი კარგებისაგან, რომლებშიაც მთელ ზაფხულზე ათასობით სტოგრობს ხალხი“.

„რად უნდა ესთქვათ ყოველგვარ ხარისხისა და ხისის ჩვენ სკოლებზე, რასაკვირველია გარდა ანექსიონათა, სადაც სარწმუნოებრივ-ზნეობითი ანგზრდა და სწავლა, ცოტად თუ ბევრად დაყენებულია გრცლად და რიგიანად? როგორ ასწავლიან მათში საეკლესიო ცხოვრების სიტყვას? დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში მის ასწავლიან საღმრთო სკულის გაკვეთილებზე, რომელიც უმთავრეს საგნად ითვლება. გარდა ამ გაკვეთილებისა ღია სასწავლებლის მოსწავლეთ, რომელთაც თავიანთი საკუთარი ეკლესია არ აქვსთ, თავიანთი მშობლებისა და ნათესავების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის კეთილი და სასურ-

ველი არაა. დახურული სასწავლებლების მოსწავლენებს-კი, ნამეტურ სადაც თავისი ეკლესიები აქვთ, შეუძლიათ შეისრულონ გაკვეთილების შემდეგ თავისუფალ დროსაც, ასე რომ ამათ უფრო შეუძლიათ ისწავლონ თავიანთ აღმზრდელთაგან, და კიდევ ეკლესიებშიაც წირვა-ლოცვის დროს, რომელთაც ისინი სასწავლო დროს განმავლობაში თითქმის მუდამ ესწრებიან. სწავლის შესრულების შემდეგ-კი ამ ნორჩი გულით და განუტყვევებლ ტვინით, შედიან იგინი უმაღლეს სასწავლებელში, თუ იწყებენ დამოუკიდებელ სიცოხლ მოქმედებას, სულ ერთია—მაინც სცივიან გარეცხოვრების ჯურღმულში და ათასგვარ ტალღა მოქმედებას ეძლევიან. ნეტარ არიან ისინი, რომენიც კეთილ გავლენის ქვეშ მოხვდებიან, მაგრამ ეიმათ, რომელთაც ბოროტი ქადაგება და სარწმუნების და ზნეობის წინააღმდეგი მიმართულნი მოვლდებათ! რამდენია იმისთანა საცოდაო ჩვენო ჩ ახალგაზრდობაში! ამასთანავე არ შეგვიძლი ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზად არ ჩათვალო ის, რომ ჩვენ საზოგადოდ და კერძოდ მალს საზოგადოების ახალ გაზრდობაში არა გვაქვს წრე საზოგადოებანი და კავშირნი, რომ შევისწავცხოვრების პირველი საფუძველი და ცოდნა—დება. ამა გვექონდეს ჩვენ ახალგაზრდათა ქრისტიული კავშირნი, გვექონდეს ქრისტიანულ მოქმედებათა საზოგადოებანი, რომელთაც აქვთ განმანათლებელი მიზანიც, გვექონდეს კავშირნი და საზოგადოებანი, თუნდაც არა ისე ფართოდ დაყენებულ როგორც ამერიკაში, გვაყავდეს იმათში ცოცხალ ენერგიული და სარწმუნოებით გამსჭვალული აღმიანები,—ჩვენში ხომ მოიპოვება ამისთანები—რადნი უმაწვილი ქალი და კაცო შეიფარებოდა მდროში სქვეშ, რამდენი მთავარი აღზრდებო მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, თავისი ეკლესიისა, სამშობლოსა და მამულის სიყვარულში, რადენი მათგანი ასცდებოდა იმ მრავალ შეცდომათა, რომელთაც ისინი ეძლევიან სარწმუნოებისა ღმერთველობის წინააღმდეგ ცრუ მძიმდრებით!“

„ღმერთთან ინებას და მოაფიქრებინოს ჩვენშიც მცირედ მაინც რაიმე მსგავსი იმისა, რასაც ვხედავთ განათლებულ ამერიკაში, იმ პირთა, რომელთა პირდაპირ მოვლევობას შეუდგენს ხალხში სარწმუნოებისა და ზნეობრივ განმტკიცების ზრუნვა.“

ჩვენში კი აღარაფერს ამისთანებს საჭიროდ აღარ რაცხვენ, რადგან ზოგიერთ ბატონებს თავიანთ თავა ბრძანდ მოსჩვენებით და იმას ვერ მიმხვდარან რომ სრულებით გასულულებულან, როგორც საღმრთო წერილი ბრძანებს:

(შემდეგა იქნება)

დკ. დ. დამაშაძე.

იმიტითს ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრებაჲ ქუთაისში 15 დეკემბერს 1903 წ.

კრების პირველ დღეს, 15 დეკემბერს, 34 სამღვდლოების დეპუტატები შეიკრიბნენ; დანარჩენი დეპუტატები ვერ მოვიდნენ სიშორისა გამო. შეკრებულ დეპუტატებში შეიქმნა ლაპარაკი თავსმჯდომარის აღრჩევაზე. დეპუტატებმა დაასახელეს თავსმჯდომარეთ რამოდენიმე პირები, მაგრამ შეკითხვის დროს მათ უარი განაცხადეს. ბოლოს დასახელეს თავსმჯდომარედ მღვდელი სიმონ მჭედლიძე და იუსტინე ტაბიძე, რომელთაც თანხმობა განაცხადეს. ხოლად დადარული კენჭის ყრა თავსმჯდომარის ანამდებობაზე მღვდელს ს. მჭედლიძეზე, რომელსაც დმოუწნდა თეთრი კენჭი 21 და შავი 17. ამის შემდეგ მღვდელმა ი. ტაბიძემ უარი განაცხადა კენჭის რაზე და დარჩა თავსმჯდომარის კანდიდატად. შედგა სიგელი, მაგრამ როგორ გამოირცხა ახალმა თავსმჯდომარემ თავის კანდიდატი მღ. ი. ტაბიძე რთვის არ შეუტყუა, რადგან თავსმჯდომარის აღრჩევის სიგელი, კრების გასაგონათ არავის არ წაუკითხავს. საქმის მწარმოებლად ერთ ხმად აირჩიეს მღ. არ. ბოქორიშვილი. ამ დღეს კრებაზე შემობრძანდა მათი მეუფება, იმერეთის ეპისკოპოსი ეონიდი, აკურთხა კრების დეპუტატები და მიმართა მათ მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით; დაარიგა კრება საბაასო და გადასაწყვეტ საგნების შესახებ, ისურვა რომ კრებას გამოეჩინა გამჭირაბობა და რიგიანდ გარდაეწყვიტა მიცემული წინადადებანი. განსაკუთრებით კრების ყურადღება მია-

ქცათ ოთხკლასიან სასწავლებლის არა სანატრულ მდგომარეობაზე და შემდეგ თავის სასახლეში წაბრძანდა.

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ის კითხვები, და წინადადებანი რომელნიც მიცემული ჰქონდა ამ კრებას გადასაწყვეტად. ამ კითხვებს დაემატა კიდევ მათი მეუფების წინადადება შენდობის ფურცლების და გვირგვინაკების საქმის მოწესრიგების შესახებ, რომელიც ასე დაუწყობელი იყო დღემდისინ.

თავსმჯდომარემ, როგორც ახალმა კაცმა, მოიმდომა ახალი წესების შემოღება, წინადადებათა მსჯელობის და გარდაწყვეტის შესახებ. ზვერი ლაპარაკია სხდომაზე კითხვების გარდაწყვეტის შესახებ, ბრძანა თავსმჯდომარემ, რომ ზვერი უსარგებლო ლაპარაკი არ იყოს მე მოვახსენებ ჩემს აზრს კრებას ყველა კითხვების შესახებ და შეიძლება ჩემი მოფიქრება და გარდაწყვეტილება მიიღოს კრებამ და გარდაწყვეტიტოს საქმე დ ამისათვის რადა საჭირო იქნება სხვების ლაპარაკი? თუ კრებას არ მოეწონება ჩემი მოსაზრება მაშინ თვითონ კრება მოიფიქრებს და როგორც საუბოგონესო იქნება ისე დადგინდება უფრანალო. უმრავლესობა, დარწმუნებული ახალი თავსმჯდომარის შეუკუთმლობაზე და ყველა საბაასო საგნების შესახებ მისგან ყოველ-მხრივდ გამოკვლევასა და საფუძლიანად მოფიქრებაზე, დასთანხმდნენ. შემდეგ ამისა აღო წინადადება ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის გაყოფის შესახებ. დაქვით ღვთისწყალობა, იმან იჯერა გული ლაპარაკით! დაწვილებით გამოიანგარიშა თუ რა ეხარჯება ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლის შესანახავად სამღვდლოებას თავისი პარალელური განყოფილებებით, მერმე დაახასიათა უნუგეშო მდგომარეობა ამ სასწავლებლისა, არა მიმხედველი იმისა, რომ სამღვდლოება ამდენ ფულს ხარჯავს ამ სასწავლებელზე. ბოლოს უჩრჩია სამღვდლოებას, რომ სრულებით დაეხურა სასწავლებელი და თავისი შვილები მიეცა სხვა-და-სხვა სასწავლებელში დღის 23 ათასი მანეთი, რომელიც ამ სასწავლებლის შესანახავად იხარჯება მიუხეზართ სხვა სასწავლებლებში სწავლის უფლების გარდასახადისათვის, რომელიც წელიწადში მისი გამოანგარიშებით 50—60 მანეთს არ აღემატება. სამღვდლოების კრებამ არ მიიწონა თავსმჯდომარის ესეთი მოფიქრებული აზრი და უარი უყვეს. მერმე თავსჯდომარემ სხვანაირად დაუყენა



კითხვა. შემდეგ გრძელი მეორე გვარი ვარდაწყვეტილება ურჩია. სამღვდლოებას, რომ ბევრი არ ეხარჯებოდეს ამ სასწავლებლის შესანახავად ყველა პარალელური კლასების ხარჯი მიიღონ მათ ვინც ამ განყოფილებებში იქნებოდა და ვინც ნორმალურ კლასში იქნება ისინი-კი სწავლის უფლების გარდახდისაგან თავისუფლნი იყვნენო. ეს კრებას სრულებით არ მოეწონა. მერმე წინადადება მისცა კრებამ თავსმჯდომარეს მოეთხოვა აზრი დებუტატებისათვის შესახებ მეორე ოთხკლასიანი სასწავლებლის გახსნისა და პარალელური კლასების დახურვისა და კრების უმეტესი ხმის თანახმად დაედგინა განჩინება. ვინაიდან მისი რჩევა არცერთი არ იყო მისაღები...

სიტყვის ნება ითხოვეს რამდენიმე დებუტატებმა და თვითუღმა მათგანმა გამოსთქვა თავისი აზრი როგორც სასულიერო სასწავლებლის გაყოფისა ისე პარალელური კლასების დახურვის შესახებ. ზოგიერთმა დებუტატებმა მშვენიერად დაახასიათეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის არა სანატრელი მდგომარეობა. „შეიგნო კარგად სამღვდლოებამ ეს მდგომარეობა სასწავლებლის, განაცხადეს მათ, ვისაც საშუალება აქვს სხვა სასწავლებელს მიაშურა. პირველად სამღვდლოებას ეგონა, რომ როცა აკადემიელები დაიკავენ მსწავლებლების ადგილს სემინარიელების ნაცვლად მოსწავლეები უმეტესად განვითარებულნი შეიქმნებიანო, მაგრამ, საუბედუროდ, სამღვდლოება ამაში მოსტყუდა. სემინარიელი მსწავლებლების დროს უფრო ბევრი იღებდნენ ოთხკლასიანებს სემინარიაში ვინც დღეს. დღეს პირველი შაგირდი, რომელსაც ყველა საგნებში ხუთ-ხუთი ნიშანი აქვს უკან ბრუნდებიან და გარეთ რჩებიან, რადგან კარგათ ვერ მიუგვს ეკზამენის დროსო. საკვირველია რომ ვინც-კი დათხოვნილი იყო მეოთხე კლასიდან სუსტი სწავლისათვის ივინი კი შევიდნენ სემინარიაში მოტყუებით. მათ განაცხადეს, რომ ჩვენ სასწავლებელში არ ვყოფილვართ, შინ მოვიყვანდეთო. წარმოიდგინეთ ამ სუსტმა შაგირდებმა დაიპირეს ეგზამენები ჭ მიიღეს კიდევ სემინარიაში. რით აიხსნება ეს? რა საქირაა მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნა, თუ იმ შაგირდებსაც არ იღებენ, რომელნიც ამ სასწავლებლიდან მიდიან? ხომ აულ გარეთ დარჩებიან კიდევ სხვა სასწავლებლის მოსწავლენი. სემინარიის გარეთ დარჩენილი მეოთხე კლასის ბავშვები დაღუპულნი არიან! იმათ არ აძლე-

ვენ მედაიონის ადგილებსაც უეგზამენოდ. სხვა სასწავლებლებში სწავლის განგრძობა ხომ ყველა ოთხკლასიან სასწავლებლის კურს დამთავრებულთ ადვილად შეუძლიათ ვინც ჩვენ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა? მაშ რაღა უპირატესობა აქვს ჩვენ სასწავლებელს, რომელზედც ამდენ ფულს ეხარჯავთ მის შესანახავად? არა თუ საქირა არა რის მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნა, არამედ ყველა პარალელური კლასებიც უთუოდ უნდა დახუროს სრულებით.“

ეს აზრი დებუტატებისა თითქმის მიეღმა კრებამოიწონა. თავსმჯდომარემ კრება დახურა და საბედლოად გარდწყვეტა მეორე დღისათვის გარდასდებოდა.

მეორე დღეს შეიკრიბნენ დებუტატები დღორვა საათზე, მაგრამ წინანდელი აზრი სამღვდლოების კრებისა პარალელურ განყოფილებათ დახურვის შესახებ სრულებით არ შეცვლილა. მართა ორიოდე დებუტატი გაიძახოდა, რომ სირცხვილია ესლანდელ დროში კლასების დახურვაო, რადგა განააღება ესლა უფრო წინ მიდის და კლასები ბევრი უნდა იყოსო. ამ დებუტატებს სრულებით არ უფიქრიათ იმაზე თუ რამდენად ასრულებს დღ ჩვენი სასწავლებელი სამღვდლოების მოთხოვნილ მას. მართალია ზოგიერთი სამღვდლოება ძლიერ მოხარულია როცა მისი შვილის მოწმობაში სულ ხუთ-ხუთ ნიშნებს ხედავს ჩამოკაპულს, მაგრამ მკი აღარ აქცევს ყუღლებას, რომ მის შვილს ეკმენის დროს სემინარიაში ეუბნებიან: არაფერიცო და ვერ მიგიღებთო... ამავე დროს ზოგიერუსწავლებლობისათვის დათხოვნილ ბავშვებს კი იღებ როგორც შინ მომზადებულთ.

ამ კითხვის გადაწყვეტის შემდეგ სამღვდლოების დებუტატებმა განიხილეს სასწავლებლის სამრთველოსაგან წარსული წლის ხარჯი რომელიცალკე დაბეჭდათ კრების დროისათვის. ამ ანგარიშის შესახებ თავსმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ კომისია ადგრიათ და მათთვის მიენდოთ ანგარიშის განხილვა და კრებისათვის მოეხსენებიათ მეორედღეს. თავსმჯდომარის ამისთანა წინადადებაზე დღ. დ.—ქმე სთქვა: „ანგარიშის განხილვა მართლაც რომ საქირაა, რომ სამმართველო ყურადღებას აქცევდეს კრების დადგენილებას და მოთხოვნილებას, მაგრამ დღეს ზედმეტათ მიმანია ამ ანგარიშის განხილებისთვის დრო დაკარგოთ. ოც გზის მინც



ხოვნია სამღვდლოების კრებას სამართველოსთვის, რომ ანგარიში სავალდებულო ჟურნალში დაბეჭდილიყო და კანონიკ ამას ითხოვს. ცალკე წიგნად დაბეჭდვა მაშინ არის სავალდებულო როცა სავალდებულო ჟურნალი არ არსებობს და როცა არის, ვის აქვს უფლება, რომ ანგარიშის დაბეჭდვაზე უარი აუთქვას? ეს ანგარიში რომ ჟურნალში დაბეჭდილიყო ყველა წაიკითხავდა და დღეს ვინ მოასწრებს მას წაიკითხვას და განხილვას? ან რატომ ერთჯერა შეიწყნარა სასწავლებლის სამმართველომ კრების გვარი თხოვნა, რომ ანგარიშის დაბეჭდვაში ფურცლები არ ხარჯონ?.. ცალკე წიგნებათ დაბეჭდვა კარიშისა ორმოცი დებუტატისათვის სხვა არის და ქვეყნით გამოცხადება ჟურნალში, სხვა არის. ამას არგად სცნობს სამმართველო და საქვეყნოდ ანგარიშის გამოცხადებას ალბათ ერიდება... განვიხილოთ ეს გენებავსთ ეს ანგარიში და რა გამოვა? ზედაშეგვლი პასუხს არ გავცემს, ჩემი თაობა არ ყოფილა ანგარიშის შედგენა და წადი ეძებე ყოფილი უმცროსები. განა ცოცხალი დაკარგვია საღვდლოებას ძველი დროის სასწავლებლის უმცროსები-იგან? დღევანდელ დროს ყველას კარგი იარაღი აქვს თავის გამართლებისა და სასჯელის აცილებისათვის!.. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს აქ საბაასო და გადასახვეტი და ამისთანა უბრალო საგნების მსჯელობაზე დროს ნუ დავკარგავთ“. კრებამ მიიღო სასწავლებლის ანგარიში წარსული წლისა და კიდევ უკანასკნელად განიმეორა თავისი წინანდელი თხოვნა ანგარიშების ჟურნალში დაბეჭდვის შესახებ.

დასმწკ.

სამშურადღებო წგნილმანი.

მატარა კაცი.

წარსული წლის «ივერიის» 269 ნომერში დასტამბულია მეტად სავალისხზო წერილი თ-დ. ქიხოსრო გელოვანისა ამ სათაურით: «ოჯახში ვინ გვიშლის?». თვითული სიტყვა ხსენებული წერილისა აღუდებული ტყვიის წვეთად ხვდება შეგნებულ მკითხველის გულს. მართლა და ეს რა უბედურებაა, ბატონებო, ჩვენ თავს? რამ აგვიტრუა გული იმაზე, რაც ყოველ ხალხს უძვირფასად მიაჩნია? რად გვრცხვენია ჩვენი ვინაობისა და რად ვღალატობთ

ჩვენს ეროვნებას მარტო ენის უარ ყოფილ-კი-არა, სულ უბრალო წვრილმანი რამეთუ-კი? ავიღოთ, მაგალითად, თუნდა ჩვენი ვაჭრებისა და ასულების სახელები. ყოველ ერს ერთხელეუ შეთვისებული აქვს მამაკაცთა და დედაკაცთა თავისი განსაკუთრებითი სახელები და მათ არა სცვლის უცხო ხალხების სახელზე. ასეა ფრანგებში, გერმანელებში, ინგლისელებში, ებრაელებში, ოსმალ-სპარსელებში. ასე იყო დღევანდლამდელ ქართველებშიც, მაგრამ დღეს? ყოველი მიღეთის ხალხის სახელ-წოდებას ვარქმევთ ჩვენ შეიღებს და ქართულს კი ძალიან იშვიათად. აი ამისი მაგალითებიც, ამოკრებლინი ჩვენ სულიერ მწყემსთა ოჯახების ოფიციალური აწერილობებიდან. ვაყების სახელები: ბორის, ანებოდისტ, იაირ, ტიხონ, ტრიფონ, კარლ, ლიუდვილი, პაფუტი და სხვ. ქალებისა: მილიცა, მანეკა, პილას, ვერა, გლინა, ფილიცატა, ოლინკა, მატრონა, ენიკონინა, ლიუბოვი, მარადანა, პლატონინა, პინა, პოლინა, ვიკტორინა, კალინიკა, იუსტინა, ედესია, ანტიოპა, ეროტოსია, და სხვა. რად გრცხვენიათ დაარქვათ შალვა, ბიძინა, ელიზბარ, არჩილ, ლეურსაბ, ოთარ, ირაკლი, თემურაზ, შიო, ან ქეთევან, ნინო, თამარ, რუსუდან და მითანგებ? დიად, წვრილმანია ეს გარემოება, მაგრამ სამწუხაროა სწორედ, რომ სხვის წვრილმანიც სამშობლო წვრილმანს გვირჩვენიათ და ნინოს სახელს ოლინკას ან რალა-კა პილასისა და ანტიპას ვამჯობინებთ! ურბის ქინქილაქიც ხომ წვრილმანია, მაგრამ იმისი დაკარგვა ურემს აჩერებს. აქაც ასეა თუ თავის განგებ არ ავიხვევთ. ვისურვებ, რომ ახალ წელს ამ წვრილმანის აზრის შეგნება მიინც მოეტანოს ჩვენთვის.

„მწეგმსა“-ს კანონქსოფანცა

წმიდა ნინოს დღესასწაული კახკავში.

14 იანვარს ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს დღესასწაულის დღეს, აქ ქართველების სკოლის ეკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდლოესი ეპისკოპოსი ვლადიკავკისისა და მოზდოკისა ვლადიმერი, ადგილობრივ სობოროს

დეკანოზის მ. მაქსიმოვის, ეპარქიის სკოლების მეთვალყურის მ. არეხოვის, ბილაჩინის მ. ნიკოლსკის და ამავე ეკკლესიის მღვდლის მ. გ. ნათაძის თანამშრომლობით. წირვის დროს ყოვლად სამღვდლო ვინაღმეგრე ზოგიერის ასამღვდლებს ქართულად ბრძანებდა; პარაკლისის დაწვების დროს მათმა უსამღვდლოებათამ ვრცელი და მგრძობარე ქადაგება წარმოასუვა წმ. ნინოს მოღვაწეობაზედ და საზოგადოთ იმ დიდს მნიშვნელობაზედ, რაც შეუძლია ალასრულოს ქრისტიანობის მოსიყვარულებოთ გამსჭვალულმა ქალმა საზოგადო თუ კერძო ოჯახურ ცხოვრებაში. შემდეგ დაწვრილებით მოუთხრა მლოცველთ წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში და სხვაგან. ყოველი სიტყვა-მოძღვრება მათი მეუფებისა, თითოელ მსმენელის გულს ხვდებოდა და ისე სასოებით და მოწონებით ისმენდენ, რომ ჩვენის გონებიდან არასოდეს არ ამოიშლება ის სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ეკკლესიაში მქადაგებელი მღვდელმთავარი და აუარებელი მსმენელი ხალხი. წირვაზე გალობდა ორი გუნდი, ერთი ენისკობისისა და მეორე ქართული სკოლისა. პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდლო მიწვეულ იქმნა სკოლის დარბაზში ჩაიხედ.

კვირას, 11 იანვარს, საბოროში მათმა მეუფებამ, რუსის მდაბიო საზოგადოებასაც კი გააცნო ქართველთა ისტორია და წმიდა ნინოს მოღვაწეობა, და დასძინა დღესასწაული 14 იანვრისა ქართველთა ეკკლესიაში. ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსის ვლადიმირის ქართველთადმი სიყვარული აღუწეხელია და ყოველი ქართველი მოვალედ უნდა სთვლიდეს მათ მეუფების პატივისცემას.

მთავარ-დაქ. ბართ. ლუღუშაური.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* უკვე შევრდომილესი დღეებში, მიღებული მის იმპერატორებით უდიდებულესობის მიერ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობას უკვე შევრდომილესად ვაუწყებ, რომ 26 იანვარს, შუალამისის, იაპონიის ნაღმიანმა გემებმა მოულოდნელად ნაღმით იერიში მიიტანეს ესკადრასე, რომელიც იღდა პორტ-არტურის განაპირა რეიდზე. ამასთან ჯავშნიან გემებს „რეტვიზან“-სა და „ესკარვიკ“-ს და კრეისერს

„პალადა“-ს გვერდები შეუწერეს. თუ რამდენად არის დაზიანებული გემები, უკვე შეუდგენი ვამოკლევას. დაწვრილებით ცნობებს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას დამატებით ვაუწყებ გენერალ—ადიუტანტი ალექსევი“.

* * გარეშე საქმეთა მინისტრის ცირკულიარული დღეებში საიმპერატორო რუსეთის წარმომადგენელთა მიზარს საზღვარ-გარე: „პეტერბურგი, 2 იანვარი 1904 წელს. თავის მთავრობის მონდობლობით იაპონიის ელჩმა უმაღლეს კარის წინა ნოტა წარადგინა, რომლითაც იმპერატორის მხარობას ეუწყება. იაპონიის გადაწყვეტილება მოპარაქება შესწევით და ელჩი და საელჩოს ყვეწერი პეტერბურგიდან გაიწვიოს. ამის გამოც მწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და უმაღლეს ბრძანა, რომ ტოკიოში მყოფმა რუსეთის ელჩმა იმპერატორო საელჩოს მთელის კრებულით იპოან სატახტო ქალაქი დაუყოვნებლივ დასტოვოს. ამგარი ქვეყნით ტოკიოს მთავრობა, რომელმაც ეხლა გაგზავნილ საიმპერატორო მთავრობის პასუხს აკი დაუცადა, პასუხის მგებელი იქნება იმისა, რა ორივე სახელმწიფოს დიპლომატიურ ურთიერთობა შეწყვეტის მოპყვება.

* * * ვლადივსტოკიდან იუწყებიან, საქმი საზოგადო მდგომარეობის შესახებ აქ არავითარი ცნებები არა აქვს; თვით მთავრობამაც კი არაფერიც; მათ მოსიდა მხოლოდ განმარტებული კარგულდენა, საიდანაც სჩანს, რომ მტრის მიჯარებად მომზადება თან-და-თან მატულობს; რ შეგებმა უმთავრეს განკარგულებას, ფულის გადაბის შესახებ, არ არის, უამის-ად კი მრავალი იზადება შეუძლებელია გამორკვეულ მდგომარეობა გამო საზოგადოება ცულ-გუნებახეა; ვაქრობა ბანკების ოპერაციები შესწყუდა. რადგან ალყის მორტყმას ელიან, განზრახულია უსურისის გმმართველობა და ოლქის სასამართლო საბარცს გადაიტანონ, საოლქო გამგეობა—უსურისის ნიკოლსკში; აღმოსავლეთის ინსტიტუტი და სამოსწავლ დაწესებულებანი დაკეტულ იქნებიან. ხმა დად ავღომარბივი მკვიდრნი მოვალენი იქნებიან სუსათი მოამზადონ. რასაკვირველია, თასი სულელური ხმაც დადის. ყოველ დღე მოზილიზაციის ელიან „ელტონნი ვესტნიკ“-ს იმედი აქვს, საქმე არ გაწვავდება. ქალაქიდან გამოსვლეთა რიცხვი ქალში შემოსულთა რიცხვს სჭარბობს.

* * * რუსეთში იაპონიას უკვე გამოუტყდა ომი. ამ ომის გამოცხადებულ მანიფესტი შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი.



* სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლისათვის თითქმის არაფრით განირჩევა წინა წლების აღრიცხვისაგან.

რუსეთის ბიუჯეტი ორ მილიარდ მანათამდე ავიდა. ჩვეულებრივ შემოსავალს წელს მოელიან 1.980.094.493 მანათს, არა ჩვეულებრივს — 2.750.000 მან., სულ 1.982.844.493 მან., ორ მილიარდს აკლია 17 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი.

გასავალი ამ წლისათვის ნაანგარიშებია: ჩვეულებრივი — 1.966.458.251 მან., არა ჩვეულებრივი — 212.178.804 მან., სულ 2.178.637.055 მანეთი.

მაშხადამე დეფიციტია 195.792,562 მანათი, დაფარული იქნება სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ თანხიდან.

წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით ჩვეულებრივი შემოსავალი მატულობს 83.061.815 მანათით; ამაზე ცოტა უფრო მეტი (86 მილ.) ემატება ჩვეულებრივს ასავალსაც, აქედან მარტო სამინისტროს ხარჯებს მატება 30 მილ. მანათი, შინაგან საქმეთა სამინისტროსას — 15 მილ., ფინანსებისას — 6, საერო განათლებისას — 4 მილ. და სხვა.

უფრო საგრძნობლად მომატებულია არა ჩვეულებრივი გასავალი. წინა წლებში ეს ხარჯი არ ემატება 190 მილიონს, ეხლა კი ნაანგარიშებია 14 მილიონზე მეტი; აქედან უმეტესი ნაწილი ხსარდება დაწყებულ რკინის გზების დამთავრებასაც ცოტაც ახალი გზების აშენებას.

ცოტათი შეფერხდით ბიუჯეტის უფრო საინტერესო ნაწილები: ჩვეულებრივს გასავალზე, აიცილები, რომელნიც გვიხსიათებენ სახელმწიფოს ხარჯებს ამ წლის კანკალიაში.

1. სახელმწიფო ვალების გადახდა	289.299.183 მ.
2. უმაღლესი სახელმწიფო დაწესებუ.	3.529.111 "
3. უწყ. სინაღის უწყება	29.331.890 "
4. საიშვრატ. სასახ. სამინისტრო	16.127.920 "
5. გარეშე საქმეთა	6.417.790 "
6. სამხედრო	360.758.092 "
7. ზღვათა	113.622.426 "
8. ფინანსთა	371.122.649 "
9. მიწათ მოქმედების	49.829.102 "
10. შინაგან საქმეთა	114.727.078 "
11. საერო განათლების	44.677.451 "
12. გზათა	473.274.611 "
13. სავაჭრო ნავსნობისა და ნავთ-სადგურების მთავარი მმართ.	16.547.466 "
14. იუსტიციის სამინისტრო	31.082.938 "

15. სახელმწიფო კონტროლი	8.993 809 "
16. ცხენების მოვლა-მოშენების მთავარი მმართველობა	2.116.735. "
17. სამხედრო მასალის და სანოვაგის მოულოდნელი გაძვირებისათვის	3.000.000 "
18. მოულოდნელი ხარჯები	22.000.000 "
სულ 1.966.458,251 მ.	

ახალ ბიუჯეტის ამ მოკლე განხილვიდანაც მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეობა წელს უცვლელი რჩება. პრინციპების მხრით მიხედვით არავითარი განსხვავება არ არის, მხოლოდ რაოდენობით განსხვავება; სახელდობრ: სამხედრო ჯარებს ემატება 30 მილიონ მანათზე მეტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 მილიონზე მეტი და სხვა. (ს.წ. ფურ.)

* * * ქართლ-კახეთის სავაჭრო საბჭო კერძო სახლიდან (ოლგას ქუჩა) გადმოაქვთ სახელმწიფო სახლში (სასინაღო კანტორაში). მასთან მოთავსებული რედაქცია „სასულიერო მოამბისა“ უკვე გადავიდა სასინაღო კანტორაში.

* * * პრავიტ. ვესტნ. — ში მამუქდილია შემდეგი უმხლდ ესი ბრძანება: «ხელმწიფე იმპერატორმა, თანამხლ შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა, 1903 წლის 18 ოქტომბერს, კეთილ-ინება და ბრძანა, სანამ გადასინჯულ იქნება სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების სასულიერო უწყების დებულების კანონები, წესად იქნას შემოღებული, რომ სავაჭრო ეპისკოპოსის-ვიკარების, კონსისტორიის წევრების, სასულიერო აკადემიებისა და სემინარიების რექტორებისა და მასწავლებლების, მონასტრების წინამძღვრების, აგრეთვე სამრევლო მღვდლების, დიაკნებისა და მღვდელთნებების დანიშნისათვის ნება უნდა გამოითხოვონ: ეპისკოპოს-ვიკარების დანიშვნაზე — მთავარმართველისაგან, დანარჩენ სამღვდლო პირთა დანიშვნაზე — გუბერნატორებისაგან ან სხვა სათანადო მოხელისაგან».

* * * როგორც უბეტერბურ. ვედ. „გაღმგვეცმს, საკითხს კავკასიის ზოგიერთ დეგლებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ იუსტიციის სამინისტრო მომავალი წლის შემოდგომაზე აღრე არ განიხილაგს.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საზოგადოებრივი და კეთილ- მზრუნველობა.

მოძღვრება

წმ. ნინოს დღეს, წარმოთქმული ქ. ქუთაისის სამრევლო სასწავლებელთა მოწოდებების შეკრებილების წინაშე.

ძვირფასო ზატარავო, ჩემო სუავერო შეილებო!

მე მსურს თქვენი დამოძღვრა, თქვენი დარიგება, მოცემა იმისთანა სწავლისა, რომელიც შეგძენთ ღვთის მორჩილებას და სიყვარულს, გაცოდინებთ უმფროსთა, მზრუნველთა და მშობელთა პატივისცემას და, ბოლოს რაღესაც ღვთის მადლითა და ძალით დიდებთ დაიხრდებით და ცხოვრებაში გამოიხველით, დაგაყენებთ კეთილსა და ყველასათვის სწავლებელთა გზაზე. მაშ, აბა ჩემო კარგებო, მოიკრიბეთ გონება, ყური მომიგდეთ ბეჯითად და ეცადეთ, რომ არა გამოგრიხეთ-რა, არა გამოგვაროთ-რა ნათქვამიდან, არც ერთმა სიტყვამ არ გაგარბინოთ ქარივით უბრალოდ და ტყუილად.

თქვენა ხართ მოსწავლენი სამრევლო-საეკლესიო სკოლებსი; თქვენი სასწავლებლები არიან შეფარებული სამრევლო-ეკლესიათა კალთის ქვეშ; თქვენა საზრდოებთ და აფარჯიშებთ თქვენს ნორჩ გონებას განსაკუთრებით და უმთავრესად იმ ცოდნით, რომელზედაც არის დამყარებული თვით ეკლესია. მაგრამ იცით, ძვირფასო, ვინ დაგვიარსა პირველად ჩვენ, ქართველებს წ. ეკლესია? იცით ვინ მოგვიტანა პირველად ის საღმრთო მეცნიერება, რომლითაც ეხლა თქვენ ინათლებთ გონებასა, იქნებ ღვთის ცოდნას და იპყიდრებთ საუკუნო ბედნიერებას? იცით ვინ არის თქვენი სწავლა-აღზრდის მშობელი დედა, თქვენი მწიგნობრობის ქირისუფალი, თქვენი მფარველი, მომხმარებ და მშველელი ანგელოზი სწავლაში?

ყველამ იცოდეთ და ყველამ გაიგეთ, რომ დამარსებელი, პირველად დამწყები, დედა ჩვენი ეკლესიისა არის წმ. ნინო. წმ. ნინომ გვიქადაგა სახარება, პირველად მან გაგვცნო იესო ქრისტეს სახელი, იმანა გვცა ნათელი და ამის გამო იგია ჩვენი საკუთარი მოციქული.

ჩვენი ქვეყნის შვილი არ იყო წმ. ნინო. ის მოვიდა ჩვენში ღვთის განცებით იერუსალიმიდან. ჯერ სრულებით პატარა, თქვენსავით მცირე წლოვანი იყო წმ. ნინო, რომ იგი დაუტოვეს მშობლებმა თავიანთ ნათესავს, იერუსალიმის პატრიარქს იოდე-ნალს აღსაზრდელად და გამოსაწრთენველად ღვთის მსახურებაში და თითონ წავიდნენ უდაბნოში სემო-ღეაწოდ. აი რა ღარიგება მისცა პატარა ნინოს მამამ, როდესაც მან უკანასკნელად ჩაიკრა იგი მოსიყვარულე მკერდში და ცრემლთა ფრქვევით დაუკოცნა მის სახე: მშვიდობით, სულივით ტკბილო ჩემო საყვარლო, ერთადერთო შვილო! მე გტოვე შენ ობლათ, სამუდამოთ გშორდები დღეიდან მაგრამ ნუ შესწუხდები, ნუ ინაღლებ, ნუ მისცა ამის გამო შენს გულში ალაგს ფიქრსა და დარდს დღეიდანვე გიშვილებს შენ და გადაგიშლის თავი უხვი სიყვარულის კალთას ღმერთი, რომელიც არ მამა ობოლთა და ქერივითა. გახზო მუდამ თვალწ გედვას და ყოველთვის გახსოვდეს წასაბაძი მივალთ მირიამ მაგდალინელისა და მართალი ლაზარებისა, აღიქურვე იმასავით იესო ქრისტეს ეგულებით, შეიყვარე იმასავით მხნელი ქვეყნი და იცოდე, რომ არც შენ დაგვიწყებს იგი და ყოველთვის აგისრულებს, რასაც-უი გულითა სთხოვ მას."

იგრძნო პატარა ნინოს ნათელმა სულმა ქვე-მარიტება მამის დარიგებისა, ღრმით ამოიჭრა სვეტა და უმანკო გულის ფიქარზე თვითეული სიტყვა მამის მცნებისა და იმ დღიდან გული და გონება თვისი მთლად დაუთმო უფალსა, იმ დღიდან მისს ბედნიერებად შეიქმნა განუწყვეტელი ღვთის სამსახური, მისი გული ვერა ძებნოდა ღვთის სიყვარულითა და მისი გონება შეიქნა მიმართული ქრისტე მაცხოვრის ქადაგებისა და მცნებათა სრულსა და ზედმიწევნითი შეთვისება-განხორციელებაზე. მსურველ ლოცვა, ბეჯითი და გულმოდგინებით სწავლა საღმრთო წერილისა, დაუზარებელი და ხალი-სიანი მორჩილება უმფროსთა ბძანებისა, — აი რითი



იწყება და რითი ათავებდა ყოველ დღეს წ. ნინო, როდესაც იგი თქვენსავით სწავლობდა დიდებულნი იერუსალიმის წმ. ტაძრის სასწავლებელში.

ერთხელ მასწავლებელმა ქალმა დაწვრილებით უამბო წმ. ნინოს იესო ქრისტეს ჯვარცმისა და სიკვდილის მოთხრობა. სხვათა შორის ამ მოთხრობიდან გაიგო წმ. ნინომ, რომ იმ ებრაელებში, რომელნიც დაესწრენ ქრისტეს ჯვარცმას, ერთი, საქართველოდან მისული, მცხეთელი ურიაც ვრია და მას ერგო წილში იესო ქრისტეს კვართი (პერანგი). ნინომ დაწვრილებით გამოჰკითხა თავისს აღმზრდელს საით არის მცხეთა, ვინ არიან ქართველები, რა სარწმუნოებას მისდევენ ივინია და როდესაც გაიგო ქართველების კერბთაყვანის-მცემლობა და არა ქრისტიანობა, დიდად შესწუხდა, დიდად დაღონდა და დაუქრდა: როგორ, განა დიდი ცოცხად და დანაშაული არ არის, რომ იმ ქვეყნის მცხოვრებნი, სადაც იესო ქრისტეს კვართი ინახება, სიბნელეში იყვნენ, კერპებს სცემდნენ თაყვანს და არ იცნობდნენ იესო მაცხოვარსო, ნაღვლიანობდა ნინო! არა, მე ამას ვერ მოვიტყენ, მე უნდა მოვაქციო ქართველები, მე უნდა დაცოდინო ქრისტეს სჯული და ამითი ავასრულო ჩემი მოვალეობა, ამითი დავმტკიცო ქრისტიანობა ხეყვარულთა ქრისტიანობა, გადწვევითა ქალწულმა ნინომ და გამოეშურა საქართველოსაკენ.

განა რო ბევრს მწუხარებას, ბევრს გაჭირვებას, ბევრს ვარაშს და ავდღეს მიაყენებდნენ შორიდან მოსულს და უცხო ქალს იმ დროინდელი გაკერპებული, გონება დაბნული და სიამაყით თევგასული ქართველები! მაგრამ ქრისტეს სიყვარულობა, რომლითაც ერთობ გამსჭვალული იყო წმ. ნინო, ჰსძლია ყოველ დაბრკოლებას, წმ. ნინოს ვაბედულმა ბეჯითმა ქადაგებამ მოუღობო გული ქართველებს, ჩქარა დაანახვა მათ კერპების საბული უძღურება, უმნიშვნელობა და უაზრობა. ამის შემდეგ საჭირო აღარ იყო დიდი შრომა და ქადაგება.—თვალ ახილულმა ხალხმა ნათლად ჰსცნა თავისი ძველი შეცდომილება, სისწრაფით დასცა ძირს კერპები, დაჰგმო, დაღვწა ივინი და შემდეგ ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მიფე და მონა ჩადგენ მდინარე მტკვარში და მიიღეს წმ. ნათლისღება.

ასე დაიწყო ჩვენში, ჩემო პატარა მსმენელებო, ქრისტიანობა; იმ დროიდან იწყეს ჩვენში შენება


ტაძრებისა, რომლებითაც ბოლოს მთლად მოიქცეა და მოიქარგა საქართველო, როგორც ცა ბრწყინვალე ვარსკლავებით, იმ დროიდან მოგვეყვინა ჩვენ ნათელი წმ. სახარებისა, იმ დროიდან დამწყსდა ჩვენში წირვა და ლოცვა, იქიდან მომდინარეობს საეკლესიო გაღობა! ოღონდაც რო უკვდავი და დაუვიწყარი უნდა იყოს ჩვენთვის ვინც ამოღობა ამაგი დაგვლო. ოღონდაც რომ მოვალენი ვართ ლოცვითა, ვედრებითა, თაყვანისცემითა ბე დიდებისმეტყველებით ვასრულებდეთ ამგვარი პირის ხსენებას. ამისთვის მეტად გასახარელი და სასიამოვნოა ეს დღევანდელი თქვენი შეკრებლები იმ საღმრთო განზრახვით, რომ ერთი პირით და ერთი გულით ადილოთ და თაყვანისცეით, შეუვრდეთ და გამოსახოვით მაღლი და კურთხევა თქვენს საკუთარ დღესს, თქვენი მწიგნობრობის ქირისუფლოს, თქვენს მფარველს და დამხარს წმ. ნინოს. დღევანდელი დღესასწაული თქვენი საკუთარი დღესასწაულია. იცოდეთ, შეიღებო, რომ როდესაც წიგნს გადამხილით და გაკეთილისმადებას წყობილობთ ხოლომე, იმ დროს თავს დატრიალებთ თქვენ წმ. ნინო. ნინო თითონ დიდი ბეჯითი იყო სწავლაში და მოწაფეების ბეჯითობა (ა გამსჯელობა დიდათ ახარებს მის, ხოლო სიზარმაცე და უქმით ყოფნა მათ ავსებს მის გულს დამოუთქმელი მწუხარებით. წმ. ნინო სწავლის გრძო იყო ყველაფერში მოჩილი და გამგონე თავისი უმფროსებისა და ამითი ანდერძით დაიღობოთ თქვენც უმფროსებისა, აღმზრდელებისა და მშობლების მოჩილება. თუ ვისეს თქვენგანს არ უყვარს მშობლები და უმფროსები, იმას არც დედობას გაუწყვეს ღირსი ნინო. წმ. ნინო სულის მშვენებას და დიდებას შეადგენდა მხურავად სიყვარული ღვთისა და მუდმივი ლოცვა. ვიკვრდეთ თქვენც ყველაზე მომეტებულად თქვენი გამჩენი და მაცოცხლებელი დემრით, ვიკვრდეთ გულსმოდგინეთ ვედრება მისი, თუ გინდათ რომ შეძინოთ ბედნიერება და გამოხვიდეთ ყველასათვის საყვარელნი და სასარგებლონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ლოცვა არ გეყვარებათ, საბულებით ფუქი, ტყუილი და უსარგებლო იქნება თქვენი სწავლა და ცოდნა. ეშაქსაც დიდი ცოდნა აქვს, მაგრამ რაკი არ შეუძლია და არ უყვარს ღვთის ლოცვა-ვედრება, იგი ყველასათვის ბოროტი და მავნე!



როგორც პატარა ნინო დაიხსომა თავისი მამის ღარიგება და მტკიცედ ასრულებდა მას, გახოვთ თქვენც ისე დაიხსოვით ეს ჩემი მკირველი ღარიგება და გწამდეთ, რომ თუ ისეთი მხურვალე სიყვარული გექნებათ ქრისტესი, როგორითაც გამკვალული იყო წმ. ნინო, თქვენც უძველად ვეყვარებით ქრისტესს, ხოლო ქრისტესმიერ შეყვარება ნიშნავს უმაღლეს ბედნიერებას.

ქართველთა განმანათლებელი, ღირსო დედაო ნინო! მოხვედ დედობრივი სიყვარულით შეიღობა ამათ შერთე, გაუნათლე ამათ გონება და გული ღვთის მეცნიერებით, დაუნერგე მათ მორჩილება სახარებისა; გამოუთხოვე ღვთისაგან გულსმოდგინება, ბეჯითობა და სიმტკიცე სულისა, მინიჭე მათ სიყვარული, სიბრალული და ერთგულდება მოყვასთა და ღაიცივე იგინი ბოროტებისა, ურწმუნოებისა, შეფოთისა და მზაკვარებისაგან. ამინ.

ქუანჭავისი ლექსიადი.



საუბარი დაბადებულან.

ექვსი დღე შექმნას.

III

წიგნი „შექმნათა“, თავი ბ.

(შემდეგ*)

დადა დრო. როცა საყოველთაო ხალხური მდგომარეობა უნდა გათავებულყო. რითი დაიწყო ქვეყნიერობის მოწყობა და მოწესრიგება? — ეთქვა ღმერთმან: იქნენინ ნათელი, და იქნა ნათელი.* ეს სიტყვები, რომლებშიაც ასე ნათლად და ძლიერად გამოიხატა შემოქმედის ყოვლად-შემძლებლობა, გვიჩვენებს, რომ, ყოველთა უწინარეს, თავის ქმნილებაში ღმერთმა ისეთი ნივთიერება, ისეთი ელემენტი შეიტანა, რომელიც ყველა ნივთიერებაზე უფრო სუფთა და ოსელია, ყველა სავანში ატანს, ყველა ცოცხალ არსებათა სიცოცხლეზე გავლენა აქვს და ქვეყნიერობის უმთავრეს მოვლენათა მიზეზია. უნათელით არ იქნებოდა არც ბრწყინვალება, არც სხვა-და-სხვა ფერები, არც სახეები; არ იქნებოდა ფერების დაუსრულებელი სხვა-და-სხვაობა, და ამისგანომ—არც

სილამაზე; ერთი სიტყვით არ იქნებოდა ყოველივე ის, რაც ისე ამშვენებს და ლაზათს აძლევს ამ ღვთის მიერ გაჩენილს ქვეყანას. —სწავლულებმა ბევრი დრო და შრომა დახარჯეს, რომ გაერკვიათ, თუ რა არის ნათელი და რა კანონებს ემორჩილება იმისი მოძრაობა, მაგრამ დღემდის საქმით დადგენილათ შეიძლება ჩათვალის მხოლოდ ერთი კვშპობიტება, სახელდობრ ის, რომ სინათლის მოძრაობის სისწრაფე ერთ წუთში უდრის 289,824 ვერსს, —მაგრამ ჩვენ, მორწმუნეთათვის, რასაკვირველია, ეს მეორე ხარისხიანი საქმეა. ჩვენ ვსტკებობთ ნათელით, და ამ ძვირფას განძისათვის უნდა ღვთისადმი დღეავლენდეთ მადლობას და კურთხევას. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, ძმანო, რომ ამ ხილულ ნათელს იქით არის კიდევ სხვა ნათელი, რომლითაც მარტო შეუძლია ჩვენს სულს იცხოვროს და რომლის დასაბამი თვით ჩვენს მაცხოვარშივეა: „მე ნათელი სოფლად მოვიღიენე. —ამბობს იგი, —რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმუნეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს“ (იოან. XII, 46).

შემდეგ ღმერთმან ბრძანა: *«იქმენინ სამყარო შორის წყლისა, და იყავნ განწყოფელ შორის მიწისა და წყლისა»*, — და იქნა ეგრეთ. ეს სამყარო ანუ ცა — არის ჰაერი, რომელი დედამიწას არტყილ და რომელსაც მიწის ატმოსფერას ეძახიან. ჰაერი გაჩენასთან ერთად მოხდა წყალი დაყოფაც, ე. ი. ის ნაწილი წყლისა, რომელიც წინეთა „განუზადელ ბელ“ დედამიწას ერტყა, დედამიწაზედღე დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი ჰაერს გაჰყვა და ჰაერში დარჩა. და მართლაც, ჩვენი ატმოსფერა მთლიათ წყლით სავსეა, პატარა-პატარა წინწყლებისა და ორთქლის სხივით. მეცნიერთა გამოკვლევით, იგი ყველა ოკეანეზე, ზღვებზე და მდინარეებზე მეტს წყალს შეიტკავს. ეს აუარებელი წყალი რომ ერთბაშით დედამიწაზე ჩამოიქცეს, ყველაფერს დააღრჩობს და გააქარწყლებს, რაც რამ იმაზე ცხოვრებს. მაგრამ, სამარადისო სიბრძნის კანონის თანახმათ, იგი ჰაერში გაჩერებული და მხოლოდ წვიმის წვეთებად და თოვლად ჩამოდის დედამიწაზე, —მისდა გასანაყოფიერებელათ და გამოსაცოცხლებლათ.

ჩვენ დამევეული ვართ ჰაერს ისე ვუტკვიროთ, როგორც სრულიად უმინშენელი სავანს; ნამდვილათ-კი მისი მნიშვნელობა და დანიშნულება მეტათ დიდია. უპირით ვერც ერთი სულიერი ვერ გას-

*) ის. „შექმნითი“ № 24, 1903 წ.

ძღვებდა დეთამიწაზე, აქ არ იქნებოდა არც მცენარეთა და არც ცხოველთა სამეფო, ყველგან მომავლენებელი სიცილე იქნებოდა ვაგვეფებელი და ზენი ჰორენება სრულიად დაუსახლებელი დარჩებოდა. აქ არ იქნება ურიგო, შევნიშნათ, რომ ჰაერი უბრალო, მარტივი ნივთიერება როდია; იგი შედგება რამოდენისამე ძლიერ თხელი ნივთიერებისაგან, რომელთაც ვახუბს ვძახიან; იმისდა მიხედვით, თუ რომელი ამ ვახუბგანი უფრო მეტია ჰაერში, უკანასკნელი ზოგჯერ შეიძლება მარგებელი იყოს, ზოგჯერ-კი ძლიერ მავნებელი; მაგრამ ისე კია მოწყობილი, რომ ის ჰაერი, რომელიც სულიერ არსებთათვის მარგებელია, იმავე დროს მავნებელია მცენარეებისთვის (—ეს მაშინ, როცა ჰაერში მუყაბადის გაზი სჭარბობს); ხოლო რომელიც მცენარეებისთვის მარგებელია, მავნებელი გამოდის ცხოველებისათვის (აქ სჭარბობს გაზი აზოტი). პირველს ადისა და ცუცხალ ჰაერს ვძახიან, მეორეს-კი — ვაფუქებულს, წამხთარს. შესუნთქული საღი ჰაერი იოცად საქმეებს ახდენს; იგი ხელს უწყობს საქმლის მონღერს, ოხვიერთს მის ნაწილს სისხლად აქცევს, იხსლის მოძრაობას აწესრიგებს, ამით მიეღ სხეულს ფხიზღენს და მრავალი კიდევ სხვა, რომლის ჩამოვლა აქ ძნელია. მაგრამ ამავე დროს შესუნთქული ჰაერი თვითონაც იცვლება სხეულში და იქიდან უკვე წამხდარი გამოდის. აი რისთვისაა მავნებელი, როცა ერთ სადგომში ბევრი პირი ცხოვრობს და სადმე ვიწრო ოთახში იძინებს; იგინი აქ უკვე წამხდარი ჰაერს ისუნთქავენ, რისგანაც ხშირად ბევრანირი ვადამდეტი სხეულება ჩნდება ზ ხალხს ჩამოვლა. მაგრამ სოფლებ-დაბებში და ქალაქებში ხომ საკმაოთ ბევრი ხალხი სცხოვრობს; მაშასადამე იქ ჰაერი ყოველთვის ვაფუქებული უნდა იქნესო, — შეიძლება იკითხოთ თქვენ. არა, ქვეყნიერობის ყოველად ბოძენმა გამეჩნმა ეს, როგორც სხვაც ყველაფერი, წინდა-წინვე განსაზღვრა და განაკარგულა. ჰაერი რომ უბრალო ყოფილიყო, ყოველგვარი სიცოცხლის ნახასხაც კი მოსაობდა; მაგრამ სწორეთ ამიტო მას კანონად მიცემული აქვს მოძრაობა, მოძრაობა სუსტი ანუ სიო, საკმაოთ ძლიერი ანუ ქარი და მეტათ ღონიერი ანუ ქარიშხალი! და აი, სწორეთ ეს მოძრაობა იცავს იმ თანასწორობას ათმოსფერაში, რომლის წყლობითაც სიცოცხლობს ყოველი სულიერი: აღამიანებისაგან ამოსუნთქული ჰაერი,

თუმცა მათთვის უკვე უფარგისია, მაგრამ მცენარეებისთვის-კი მეტად მარგებელია და ქარს ტყეებისკენ და ყანებისაკენ მიაქვს; პირ-აქეთ, — მცენარეები აგან ვადამუშეგებული ჰაერი, მათთვის უკვე უსარგებლო, მაგრამ აღამიანთა და ყველა ცხოველებისათვის ფრიად სასარგებლოა, იმავე ქარს ჩვენი სახლებისაკენ მოაქვს. „მაგრამ ეს ხომ ნამდვილი სასწაულია“, იქნებ თქვით თქვენ, ძმანო. დიახ, ქეშმარიტად ღვთის მოწყალებისა და სიბრძნისაგან მოვლენილი სასწაულია! მაგრამ განა უფრო მეტათ ვასოცარი ის არ არის, რომ აღამიანები იმდენათ ყრუები და ბრმები არიან ამ სასწაულისადმი, რომ ხშირათ ვერ ხედავენ ღვთის ყოველ შემძლებელ ძალს—ვერც წყნარ ქარში, ვერც ცხოველყოფელ წვიმაში; მხოლოდ ერთი ქარიშხალი და ქეპაქუხილ თუ მოავონებს მას და აგრძნობინებს ამ ძალის ოვლად შემძლებელობას, და ისიც მარტო შიშის და არა სიყვარულის და მოწიწების გრძობით: განა ეს-კი სასწაულთა სასწაული არაა?!

შემდეგ ღმერთთან ბრძანა: „შეკრბით წყალი ქვეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა, და გამოხინდინ ხელი, და იქნა ვერეთ“. სიტყვა ღვთისა— მის ყოვლის შემდეგ მნებელობა. ის იწებებს, და ყველაფერი ამ ნებელობის თანახმად სრულდება მნებელობა და მოქმედება—მასში ერთია და განუყოფელი. ის განუზომელი მუშაობა, რომლის წყალობითაც ხმელეთმა წყალიდან თავი ამოყო, აღბათ შინაგანი ცეცხლის ძალით უნდა მომხდარიყო, — იმ ცეცხლის ძალით, რომელმაც მთები ამოზიდა და ნიადაგი ზღვის ზედაპირს ააქილა. ზ მართლაც, მეცნიერება ამტკიცებს, რომ ეს ნამდვილათ ასე იყო. რამდენადაც მთები ზეფით იწვედა, იმდენათ წყალი დაბლობებში მიდიოდა, — და ამ რიგათ შეკრება წყალი ქვეშე კერძო ცისა შესაკრებელთა მათთა, და გამოჩნდა ხელი“.

და აი წყალთა დაიკავეს ადგილი, ნაჩვენები ღვთის სიბრძნისაგან; გამოჩნდენ სხვა-და-სხვა ხმელეთი ადგილები, ყოველგვართ მოწყობილნი სიცოცხლის ვაგრცელებისათვის ღვდამიწაზე. ვარნა სიცოცხლე ჯერ კიდევ არ გამოცხადებულყოფა; და არასოდეს არ გამოცხადებოდა—თავით თვისით, მიუხედავად არსებულ პირობებისა, რომელიც მხად იყვენენ სასიცოცხლოდ, რაც უნდა სთქვას დამახინჯებულმა სიბრძნემ, რომელიც ქვეყნის თავის-



თავად გაჩენაზე ქადაგებს. თავით, თვისით უღვთოდ და მის უნებურად არავითარი სიცოცხლის გაჩენა არ შეიძლებოდა, რომელსაც ცხადით ამტიციებს ქეშმარიტი მეცნიერება, ის მეცნიერება და გამოკვლევა, რომელიც გამოცხადებულად და სწორად აღიარებს დაბოლოებით თავის გამოკვლევას. არა თუ იმ დროს, როცა მოქმედება ბუნება თავისით უსიცოცხლოდ და უაზროდ, არამედ ესლაც, როდესაც კაცობრიობას თავისი სწავლა-მეცნიერებით და მრავალ საუკუნოების განმავლობაში გამოკვლეების შემქმნს ვერ მოუხერხებია სულ უბრალო რაიმე სიცოცხლის წარმოშობა, თუგინდ თვალთ შეუთქმუნია მტრე არსებისა-კი (მეფიციონი); ამისთვის რომ ერთად ერთი სიცოცხლის წყარო არის ქვეყნის გამგენი. მთელს დედამიწაზე აღიძრა მანობამდინ არ არსებული სიცოცხლე, როგორც-კი ეს ინება ქვეყნის შემქმნელს. „აღმოაცენენ ქვეყანამან მწიანელი თივისა, მთესველი თესლისა ნათესაობისაებრ და მსგავსებისა, და ხე ნაყოფიერი მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლისა მისი მასთანა ქვეყანასა ზედა“.

«და იქნა ეგრეთ!» გამოიღო ქვეყანამან მწიანელი თივისა: მთესველი თესლისა ნათესაობისაებრ, და მსგავსებისა და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისა! როგორ ხდება ეს, პირველ შესვლევაზე, უბრალოდ, მაგრამ, როცა დაეფქრდებოდა და გამოკვლევით ბუნების კანონებს მცენარეების გავრცელებაზე, აღზრდაზე და მათ ნაყოფიერობაზე, — ერთი სიტყვით მცენარეების ცხოვრებაზე, მშინ კაცი ცდილობდა და თავისი სიბრძნით და სწავლა-მეცნიერებით პასუხს ვერ იძლეოდა. რა არის ბალახი ველზე? სხანს, რომ იგი არაფერი არის, მაგრამ რომ აღმოცენდეს იგი, შეერთებული ძალით მოქმედებენ მასზე: სინათლე, ჰაერი, წყალი, მიწა. და მოქმედებენ არა ისე, უბრალოდ, არამედ ერთი ბუნების ოდნად არ გადასცილებდებიან იმ კანონს, რომელიც მათთვის არის ღვთისგან დაღვენილი. და კიდევ ამგვარი მუშაობის შემდეგ ბალახი ვერ იცოცხლებოდა, რომ ბუნებაზე, რომელიც მვედარი არის, არ ვრცელდებოდეს სიცოცხლე ცხოვრების წყაროსისა, ღვთისგან (მათე მ, 28). ხოლო რა უნდა ვსთქვათ მცენარეთა სხვა-და-სხვაობაზე? მეცნიერთა გამოკვლევით დათვლილია 40,000-მდე სხვა-და-სხვა ნათესავისა, და მეცნიერება ფიქრობდა, რომ ამით

დაათავა მცენარეების დათვლა, მაგრამ იმ ქვეყნებში, რომელსაც უწოდებენ ცხელ ქვეყნებს და ესრეთ წოდებულ მათ ხელუხლებელ ტყეებს, სადაც ჯერეთ კაცის ფეხი არ დაღმულა, იქ თითო ბიჯზე ჰაოე-ბუნს ახალ მცენარეთა, რომელნიც არც არავის უნახავს და არც არავის გაუგონია. და ექვს გარემოშია, რომ კაცობრიობამ მიაღწიოს იქამდის, რომ ყველა გვარი მცენარეულობა აღნუსხოს. ხოლო ქვეყნის შემქმნელისაგან მარტო ნაბრძანებია: „აღმოაცენენ ქვეყანამან მწიანელი თივისა... ნამდვილად, იქნა ეგრეთ“!

შემდეგ ღმერთმა ბრძანა: „იქმნენით მნათობნი სამყაროსა შინა ცისანა მნათობად ქვეყანისა: განსაკოფედოდ შორის დღისა, და შორის ღამისა; და აუყვენ დასწაულებად, ეამებად, დღეებად და წელიწადებად“ (თავი მ მუხ. 10). ესრეთ შეიქმნენ ცათა შინა მზე, მთვარე და სხვა მნათობნი ვარსკვლავთა ცსამუდამოდ მიენიჭა კანონი მოძრაობისა, რომელ მოძრაობისაგანაც წარმოსდგება ქვეყანაზე ცვლილება ჰაერისა, დღე და ღამისა. შუა გული ჩვენთა მნათობთა შორის დიდი მრგვალი მზე არის, 1,400,000 გერი მეტი ჩვენ ქვეყანაზე, იმის გარშემო ტრიალებენ 52 მნათობნი, რომლებთაგანაც უმთავრესია რვა. ჩვენს ქვეყანას ამ მნათობთა რიცხვში უჭირავს მზის მოშორებით მესამე ადგილი, ხოლო იმ ვარსკვლავს, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ცისკარს, და რომელიც ყოველივე თავის არსებობის პირობებით ემსგავსება დედამიწას, უჭერია მეორე ადგილს. წლიური ბრუნვისაგან ჩვენ დედამიწისა მზის გარემოში წარმოსდგება გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი; 24 საათის დროის ჩვენს ქვეყნის ბრუნვისაგან, ესრეთ ვსთქვათ, თავის დერძზე, წარმოსდგება ცვლილება დღისა ღამისა. მთვარეც დედამიწის თანამგზავრია.


რა ძალის უჭერია სამყაროს ჰაერზე ყველა ეს მნათობნი და რა ამოძრავებს მათ ასე უცვლელი თანასწორობით მზის გარშემო?.. სიბრძნე კაცობრიობისა ათასი წელიწადია, რაც მეცადინობს, რომ შეისწავლოს და მიხედვს ამ ძალას და ვადაწყვიტა მარტო ის, რომ ეს ძალი უცნობია, მხოლოდ უნდა ვეროდოდა მას ბრუნვის ძალა. ხოლო ჩვენ, მშინა, მიხეზი ამ ძალისა შეტყობალი გვაქვს: ეს ის ძალაა, რომელიც მიანიჭებს სიცოცხლეს ყოველს ცხოველს, რომელმანაც ყოველივე შექმნა და ყოველივე უზურია თავის მფლობელობაში. მცენარეების აღმო-

შემდეგ მოხდა შექმნა ცხოველებისა, — თავდაპირველად დაბალი რიგის ცხოველთა; რქვა ღმერთმან: „გამოიღე წყალთა, ქვეწარმავალები სამშენიველთა ცხოველთა: და ფრინველები მფრინველნი ქვეყანასა ზედა, სამყაროსა ქვეშე ცისასა. და შექმნა ღმერთმან ვეშაბნი ღიღინი: და სამშენიველი ყოველთა ცხოველთა ქვეწარმავალთა, რომელნიც გამოიღეს წყალთა ნათესაობისაებრ მათისა: და ყოველნი მფრინველნი მფრთოვანი ნათესაობისაებრ (თავი ბ, მუხ. ბ—ბბ). და შემდეგ ცხოველნი უმაღლესი რიგისა, ეგრედ წოდებულნი ძუძუმწოვარნი. შემდეგ რქვა ღმერთმან: „გამოიღე ქვეყანამან ცხოველნი სამშენიველთა თვისითა ნათესაობისაებრ მათისა: ოთხფეხნი და ქვეწარმავალნი და მხეცნი ქვეყნისანი ნათესაობისაებრ მათისა: „და იქნა გზარედ“. (თავი ბ, მუხ. ბმ). ბოლო ქმნილება ჯვესნიერ ქმნილებათაშორის იყო კაცი.

რა ვსთქვათ, ძმანო, ამ სიცოცხლის სიმრავლეზე, რომელმაც შემოქმედის სიტყვით აღავსო წყალნი, ზაირი და ქვეყანა ყოველგან? რაღა ვსთქვათ, რაკვესაც კაცმა ათასი წლის განმავლობაში ვერ შეიძლო დაეფაღა დანამდილეებით ყველა ნათესავები არსებულ ცხოველთა? რა უნდა ვსთქვათ, როდესაც კაცი ბუნების მეცნიერებაში აქამდინ ორი-საბი ასოს მეტს ვერ გასცილებია და გასცილება კიდევ თუ არა—ღმერთმან იცის! რა უნდა ვსთქვათ, როდესაც კაცის სიბრძნემ და ცოდნამ აღდემდის ვერ განმარტა თუ რისთვის არსებობენ სხვა ქმნილებათა შორის სხვა-და-სხვა ცხოველები, რომელნიც არა თუ უსარგებლონი არიან, არამედ დიდად მავნებელნი და სხვა... არაფრის თქმა არ შეიძლება, თვისიერ ფსალმუნთა მგალობელის სიტყვათა: „ვითარ განსდიდენ საქმენი შენნი, უფალო, რამეთუ ყოველივე სიბრძნი ჰქმენ“.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)



ნ ხ ლ ე ბ ა

წმიდის მამის ჩვენის
ნიკოლოზ საკვირველ მოქმედისა.

(გაგრძელება*)

მაშინ ყველა იქ მყოფი მხურვალეთ შევეცდრა ღმერთს, რომ მას ეჩვენებია მათთვის ამ ადგილის ღირსი კაცი. უფალმა ისმინა მათი მხურვალე ლოცვა და გამოუჩინა მათ თავისი ნება. ერთმა უფროს ეპისკოპოსთაგანმა ლოცვის დროს იხილა კაცი გაბრწყინებული არა-ქვეყნიერი ნათლით, რომელმაც უბრძანა მას წასულიყო ღამით, დამდგარიყო ტაძრის კარებში და ლოდინებოდა მომსვენებლებს.

„ის, ვინც პირველი შევა ტაძარში, სთქვა მან, იქნება აღრჩეული უფლისა. სახელი მისი ნიკოლოზი“. ეპისკოპოზმა ეს ჩვენება მაშინვე უამბო სხვა ეპისკოპოზებს და მერე, როგორც გამოცხადებული ჰქონდა, დადგა ეკლესიის კარებთან, სხვები კი ტაძარში შევიდნენ. წმიდა ნიკოლოზი ქალაქ მირონში სცხოვრობდა როგორც ერთი უბრალო ვინმე, ასე რომ მას ვერც კი იცნობდნენ, და მთელ დროს ატარებდა ლოცვას და ღვთის ვედრებაში. იმ დამეს, როცა ეპისკოპოზები ტაძარში შეიკრიბნენ და ელოდნენ ღვთისგან საეპისკოპოზოთ აღმორჩეული პირს, წმიდა ნიკოლოზი ჩვეულებისამებრ ადგა შუალამისას და მივიდა ეკლესიაში ცისკარზე ყველა სხვა მლოცველებზე წინ. შევიდა თუ არა ტაძრის კარებში, ეპისკოპოზმა შ აჩერა იგი და ჰკითხა მას სახელი. სათნო-ყოფელმა უფლისამ უთხრა მას თავისი სახელი. ეპისკოპოზი მიხვდა რო ეს იყო ღვთისგან საეპისკოპოზოთ ამორჩეული პირი, დააყენა იგი ამომრჩეულების წინ ღ გამოუცხადა ნიკოლოზს რომ თვითონ ღმერთმა უჩვენა მათ იგი მირონ-ლოყის მთავარეპისკოპოზათ. ეს ხმა სწრაფათ გავარდა მთელ ქალაქში, და ხალხი საქაროთ შეიკრიბა ტაძარში, ეპისკოპოზი, რომელმაც მიიღო გამოცხადება უფლისაგან დადგა შუაგულ ტაძარში, უჩვენა წმიდა ნიკოლოზი ხალხს და უთხრა: „მიიღეთ მწყემსი, რომელიც აღმოაჩინა სულმა წმიდამან და რომელსაც თვითონ ღმერთმა ჩააბარა მოუაროს და უპატრონოს სულთა თქვენთა“. ხალხი ამით აღტა-

*) იხ. „მწყემსი“ № 23, 1903 წ.



ცებაში მოვიდა და მადლობდა უფალს; ხოლო ებისკოპოსებმა კი იმავე დღეს მღვდელი ნიკოლოზი დიყვანეს ებისკოპოსის ხარისხზე.

შეიქმნა რა არქიეპისკოპოსათ, წმიდა ნიკოლოზმა გაიგო ის დეაწლი, რომელზედაც იწვევდა მას თვით უფალი. მას კარგათ ახსოვდა მცნება უფლისა, რომელიც მან მისცა მოციქულებს და მათ მზადილებებს ეკლესიის მწყემსთა: „ისე ბრწყინავდეს ნათელი თქვენი (ნათელი თქვენი კეთილი ცხოვრებისა) კაცთა წინაშე, რომ მათ, იხილონ რა თქვენი კეთილი საქმენი, აღიღონ მამა თქვენი ზეციერი“. აგრეთვე ახსოვდა მას მოციქული პავლეს სიტყვებიც ებისკოპოს ტიმოთეს მიმართ: სახე-ეპქმენ (იყავ მავლითი) მორწმუნეთა ამათ სიტყვითა, ცხოვრებითა, სარწმუნოებითაჲ. ამისთანა მადლობა და თანაც საპასუხო მოვალეობამ გადააწყვეტია ახალ მღვდელ-მთავარს შეეცვალა წინანდელი თავისი განმარტოვებული ცხოვრება ყველასათვის გამოეჩინა და დასანახავ ცხოვრებაზე, რომ ამით ის თავის სამწყსოსათვის შექმნილიყო მისსახაივი. მართლაც თავისი წმინდა ცხოვრებით ღრმა და მტკიცე სარწმუნოებით და ყოველ კაცთადმი ფრიდ მაღალი ქრისტიანული სიყვარულით—ის ყველასა ზვის მავალითა იყო. მისი სახლის კარები ყველასათვის და ყოველთვის ღია იყო; ყველას სიყვარულით და სიამოვნებით ღებულბდა. იგი იყო ნამდვილი მამა მოლოთა; ნუგეშინისმცემელი მტირალთა და შევიწროვებულთა. გულმოდგინეთ ისმენდა ყველას თხოვნას და საჩივრს. ხალხით აძლევდა შემწეობას და რჩევა-დარიგებას;—ვინც-კი მას მიმართავდა და თამაშით, გაბედულათ იჯარავდა უდანაშაუროთა, შეწუხებულთა და შევიწროვებულთ.

მაგრამ ამაირი კეთილი მოქმედება ქრისტეს მწყემსისა ღრობით შეწყვეტილი იყო ქრისტიანებზე დენის გამო. მეოთხე საუკუნის დამდეგშივე, ქრისტეს დამადების შემდეგ, შიშ წელს, რომის იმპერატორმა დიოკლიტიანემ, რომელიც შეგონებული იყო მხედრთა-მთავრის გულდრისაგან, გამოსცა ბრძანება დაემგვრიათ ქრისტიანების ტაძრებუ, დაეწვათ მათი წიგნები და დაეთხოვათ ყველა ქრისტიანები სახელმწიფო სამსახურიდან. შემდეგში ამ ბრძანებას მან ისიც მიუმატა, რომ ყოველი ღონე ეხმარათ და ქრისტიანებისათვის უარი ეთქმევინებიათ ქრისტეს სარწმუნოებაზე; თუ ვინმე ქრისტიანთაგანი

ამ განკარგულებას არ დასთანხმდებოდა და ქრისტეს სარწმუნოებას არ განუდგებოდა, ის სიკვდილით უნდა დაესჯათ. ამაირი ბრძანება—ნამდვილი ომის გამოცხადება იყო ქრისტიანებისათვის. თითოეულ ქალაქში ხალხის აღწერა მოახდინა. შემდეგ ამ სიებით ხალხს იბარებდენ, რომ ყველას სათითოოთ მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის! გაქცევა, დამალვა თითქმის შეუძლებელი იყო და ძალიან იშვიათად მოხდებოდა, რომ ამით ვინმე განსაცდელს გადაჩინოდა. ქრისტიანებს აყენებდენ საშინელ და შემამრწუნებელ ტანჯვებს. ზოგს ხორცს უხეთქავდენ და უფლებდენ მათარახის ცემით, ან და რკინის კავით და გახურებულ გავით, ზოგს ჰკიდებდენ თავდაშობა, ზოგს აღუდებულ ტყვიას ასხავდენ თავზე და სხვა მრავალი ამისთანა. სიმხეცე და შეუბრალებლობა მტანჯველთა ხან-და-ხან იმღონებდაც-კი მიდიოდა, რომ დამახინჯებულთ უვლიდენ და ექიმობდენ იმ განზრახვით, რომ ისინი მერე ისევ ეტანჯათ. ხოლო ყოველივე ვინ სწაილიდენ თვის, რომ ამგვარ ტანჯვებს ვერ გაძლებოდა, ქრისტიანები, უარი ეთქვათ ქრისტეს სარწმუნოებზე და ამაირათ არ მინიჭებოდათ მათ მოწამეთა სახელი. ჯმე თვითონ ვიყავი მოწამე მისი, ამბობს ვესევი, თურქინის მახელი როგორ ჩღუნდებოდა და ტყდებოდა, ან და ჯალათნი მეტის ჯაფისაგან როგორ იქანცებოდენ, ვეღარ უძლებდენ ქრისტიანების ხოცვას და მორიგობით ერთი მეორეს ეშველებოდა. მე ვენდავდი ვასაოცარ სიყვარულს დე-თისადმი, ქეშმარიტ ღვთაებრივ ძალას და მორწმუნეობას ქრისტეს მორწმუნეთა შორის. ერთის სასჯელი არ იყო ჯერ კიდევ გამოცხადებული, რომ დაუყონებლივ მეორე მოდიოდა, აცხადებდა თავს ქრისტიანათ, გვეგონებოდა, არც კი ფიქრობს ეს იმაზე, თუ ამისათვის რა საშინელი ღ რა მრავალგვარი სასჯელი მოვლოდა მას.

ამ საშინელ დროს წმიდა ნიკოლოზმა თავისი შრომა გააორკეცა. ის მუდამ იმას კიდობოდა რომ ყველგან და ყველასათვის ყოფილიყო ნუგეშინისმცემელ ანგელოზათ. თავისი მუდმივი და განუწყვეტილი მოძღვრებით, სწავლით და დარიგებით ის განუმტკიცებდა თავის სამწყსოს ქრისტეს სარწმუნოებას და სიყვარულს. ამისათვის შეუბრალებელმა მღვწეულებმა შეიპყრეს იგი და სხვა ქრისტიანებთან ერთად ჩააგდეს საპრობილეში. ამ ტუსადობაში

მან დაჰყო გვირგვინი ხანს. გასაკვირველი მოთმინებით იტანდა იგი იმ სასტიკ ტანჯვებს, რომელთაც მას აყენებდნენ ურწმუნოები. იგი ანუფრეშებდა თავისი საუბარით სხვა ტრუსალებს, უქადაგებდა მათ ქრისტეს სწავლას, ამხნევებდა მათ მოეთმინათ ყოველი ღვაწლი და ტანჯვა იესო ქრისტეს გულისათვის,—ასე რომ სატუსალოც-კი წმიდა ნიკოლოზისათვის სასარგებლო გამოადგა.

რვა წელიწადს გასტანა ქრისტიანობის დევნამ. მართალია, ხან-და-ხან ეს დევნა თითქმის მისუსტდებოდა ხოლმე, ისეთი სასტიკი აღარ იყო და მაშინ ქრისტიანები ისევ მხვედებოდნენ, მაგრამ მტერიც, როგორც-კი დაინახავდნენ, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ მოუშპიათ ქრისტიანობა, ისევ ამხედრდებოდნენ, ისევ იღვიძებდა მათი საზოგადოარი სიმძულვარე და დევნა ისევ ძლიერდებოდა, მწუავდებოდა.

ბოლოს, ხანგრძლივი და შეუპოვარი ღელვისა და შფოთვის შემდეგ, ქრისტეს ეკლესიის მღვდლობა გაუშჯობესდა, რადგან იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, რომელიც მღვდელ და შეუბრძოლელ დოკოლიტიანეს შემდეგ ტახტზე ავიდა, ქრისტიანებს მფარველობა დაუწყო და შემდეგ თვითონაც კი მიიღო ქრისტიანობა. ერთხელ კონსტანტინემ ძალითა ჯვარისათა სძლია თავისი მტერი. ამის წინ მან დაინახა ცაში ჯვარი, რომელზედაც ეწერა: „ამით სძლევდა“. მან მოუწოდა ქრისტიანებს და ჰკითხა, თუ რას ნიშნავდა ამნაირი ჩვენება. ქრისტიანებმა მიუგეს, რომ ჯვარი არის ნიშანი უკვდავებისა და გამარჯვების სიკვდილზე;—ნიშანი იმ გამარჯვებისა, რომელიც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მიიღო თავის ქვეყნათ ყოფნის დროს: კონსტანტინემ გაოცებული იყო ამ ამბით და იმ დღიდან გადასწყვიტა ედიღებია ქეშმარიტი ღმერთი და ხელი მიჰყო საღმრთო წერილის შესწავლას.

კონსტანტინემ გამოაცხა ბრძანება, რომლითაც აცხადებდა სარწმუნოების სრულს თავისუფლებას და რომლის ძალით იმ დღიდან ქრისტიანები აღარ უნდა დევნულიყვნენ. კონსტანტინეს ქრისტიანებისადმი სიყვარული და პატივისცემა უფრო გარკვევით და ნათლათ გამოჩნდა კიდევ მის მეორე ბრძანებაში, რომელიც მან გაუგზავნა თემის უფროსთ და რომელშიაც ის ამტკიცებდა ქრისტიანობის ქეშმარიტებას და ძალას ხოლო კერპთაყვანისმცემლობისას-კი—ამაობას: «გვედრები შენ, ღმერთო

დიდებულო, ამბობდა ის თავის ბრძანებაში, იყავ მოწყალე და კეთილის მყოფელი ერისა შენისა და ჩემ მიერ, მსახურისა შენისა, მოანჯეკ კურნება ყოველსა კაცსა*.

მეფის ამისთანა ბრძანებამ მიანიჭა ეკლესიას ზავი და მშვიდობა. „მაშინ, სწერს ეგევი, თითქოს ღამის წყვილიდის უფსკრულიდგან გზოანათა რადაცა ნათლუმა. თვითვეულ ქალაქში იწყეს ტაძრების აშენება, სადაც მრავალ ქრისტიანები იკრიბებოდნენ სალოცავათ. სარწმუნოებისათვის მამაცი და მხნე თავგანწირულნი, რომელნიც განთავისუფლდნენ მალაროებში წვალებისა და აუტანელი შრომისაგან, წარმოიდგენდნენ რა სრულს თავისუფლებას, გახარებული და გამხნევებული ბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებში. მღვდელმთავრები თავისუფლათ იკრიბებოდნენ და ბეჭოდნენ ეკლესიის საჭიროებაზე და საქმეებზე. ხან-და-ხან მეფეც-კი ესწრებოდა ამისთანა კრებებს. ის მზად იყო აღესრულებია ყველაფერი, რაც კი სარგებლობას მოუტანდა ქრისტიანობას და უხვად აძლევდა შემწვენობას საეკლესიო შენობებისათვის, ასე რომ, სულ მოკლე დროებში სხვა-და-სხვა ადგილებში აშენდა მრავალი დიდებული და შესანიშნავი ტაძარი. მაშინ წმიდა ნიკოლოზიც დაუბრუნდა თავის ვისკოპოსობის მსახურებას და, ქრისტიანულ კანონების მფარველობის ქვეშ მყოფი, სრულიად თავისუფლათ განაგრძობდა შრომას თავისი სამწყსოს კეთილდღეობისათვის.

მაგრამ ქრისტეს ეკლესიას დანიშნული აქვს ებრძოლოს არამც თუ გარეშე მტრებს, არამედ შინაურსაც, რისთვისაც იგი იწოდება «მბრძოლავ ეკლესიად. მართალია, ქრისტიანების დევნა კერპთაყვანის-მცემლებისაგან შეწყდა, მაგრამ, სამაგიეროთ ახლა შინაურმა უთანხმოებამ იჩინა თავი. ერთი აღექმანდიელი (ქალაქია ეგვიპტეში) მღვდელი სახელათ არიოსი, უარ-ჰყოფდა იესო ქრისტეს ღვთაებას. არიოსი სჩანდა ჰკვიან, განვითარებულ და მისთანვე წმიდა ცხოვრების კაცად, რისთვისაც მის ხიტყვებს ბევრი დიდის რწმენით ღებულობდა.

მდ. ბ. კაპანაძე.

(შემდეგი იქნება)



მ ო კ ლ ა ვ ა ე ბ ა .

თქმული წ. ნინოს ღვთის დიხსა.

სახელთა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

მადლითა ღ ღვთის შეწევნითა ესა, მსმენლნო, გადავიხადეთ მცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე და ღიღებულ ღღესასწაულნი—შობა, ხორციითა წინადაცვითა და ნათლისღება. ჯერ მთლად განვილიად და გასტუმრებულადაც არ მიგვანია ეს ბედნიერი ღღეები, ჯერ ისევ აღფრთოვანებული და ცხოველი სიხარულითა მათ გამო აღსილი ჩვენი სული, ჯერ კიდევ მათ საღმრთო შთაბეჭდილებას ქვეშე ვიყოფებით და, აჰ, ეკლესია კვალად გვეპატივება საღღესასწაულოდ, კვლავ გვიბძანებს გაუხსნათ გული სულიერი შეგების ახალსხვა, დაეწვაფთ სულიერი ბედნიერების წმინდა წყაროს ახალ ნაქადულთ. ასე უხვი და ხელგაშლილია წ. ეკლესია ჩვენი სულიერი ბედნიერების საქციელი, ასე ხელ-შეწყობით და მრავალგვარად გვასაზრდობს იგი სულიერად! მან გაგვახსენება, გვანუგეშება, გავახარება და გავაცოცხლებს ქრისტეს ღღედნადაც ღღესასწაულებით როგორც მართლმადიდებელნი, როგორც ქრისტეს რჯულის მიმდევარნი ხაროგალოდ. შობა და ნათლისღება ქრისტესი ერთნაირად გვასაბარებელი და სათაყვანოა როგორც რუსთათვის, ისე ბერძნებისა და ქართველებისათვის, როგორც ფრანგებისა, ისე სომხების და საზოგადოთ ქრისტიანთათვის. ღღეს კი სულ სხვაგვარია წ. ეკლესიის სურვილი: ქრისტიანთაგან გვარჩენს კერძოთ ჩვენ, —ქართველებს, —მარტო ჩვენ, ქართველებს მოგვმართავს თავისი ტკბილი ხმით, განსაკუთრებით ჩვენ გვეკუთვნის ღღეს მისი გული და პირი, ქართველს, მხოლოდ ქართველს აღძრავს იგი, როდესაც ხმა მადლა ღღადებს და ბრძანებს: „ნინოს ხსენება ხსენება სიხარულისა ღღის არს, გუნდი განვაწყობთ მორწმუნენო... ჰი მეფობანო ქართველთა, იხარებდ, რამეთუ ნინომ დაგადგა შენ გვირგვინი ქრისტესმიერი ზოგადი, კრება ჰყავ ღღეს, რამეთუ მოციქული ჩვენი მოგვიწოდებ... მოვედით ყოველნი... ყოველთა მიერ სიტყვისათა ქებას შევასმინდეთ მოციქულსა, ქადაგსა და მახარებელსა ქართველთა მხესა ბრწყინვალესა, ებანსა სულიერსა, საყვირსა ღღთივ მობერილსა, ნინოს ღღთივ განბრძანობილსა

(საღღეს. 14 იანვარს) და სხ. მოყვანილი სიტყვებიც თვალნათლად და ცხადად გვიჩვენებენ რა ნაირი აღტაცებით ღ აღფრთოვანებით ეგებებოდენ ძველათ ქართველები წ. ნინოს ხსენების ღღეს; ვაგონილიც სრულებით საკმარისია იმის წარმოსადგენად და მისახვედრად თუ რა წარმტკი, მიმზიდველი და დამატვევებელი გავლენა ჰქონდა ძველთ, წ. ნინოს სახელს ქართველი კაცისა და ქალის გულსა ღ გონებაზე; ყველასთვის საყვარელი და წმიდა იყო იგი სახელი, ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა ამ საღმრთო პირის მომეტებულ პატივისცემის გამოთქმა-გაოხებაში და განხორციელებაში. ამითი აღსწენება რასაკვირველია. თვითეულ ეკლესიაში აუცილებლობა მისი წ. ხატისა.

ღვთის მადლით ღღესაც ბევრგან შესაფერისი გულსმოღღინებით სრულდება ჩვენში ჩვენი მოციქულის ხსენება, ღღესაც ბევრგან ხსენება ნინოსი შეუკავებლად იზიდავს ქართველთა სიწრაფეს, თუ ქალი, თუ კაცი, თუ თავადი, თუ გლეხი ღღესაც ბევრგან საღმრთო და აუცილებელ მოვლევობად ჰსთვლიან დაიტკბონ გული და გონება წმ. ნინოს საღღედლად განწესებული საკითხავებისა და სხვა-ღღედლების მოსმენით, ღღედნადელი საღამოს მიღღელ-მსახურება და ხვალინდელი საღმრთო წირვა რადაც განსაკუთრებული ბედნიერებისა სიოს ჰჰვენს მათ გულს, უფრო მეტს სიხარულს, მეტს კელიდ გრძნობას, მეტს მხნეობას და თვით ცნობიერებას უღღიძებს ბევრს ქართველს, ვიდრე სხვა ღღინდელი, სხვა ღღესასწაულის წირვა და ღღესაც. ღღეს ბევრი ქართველი ღღესასწაულთა და გახარებულთა არა მარტო იმითი, რომ იგი ქრისტიანია, მონათლულია, იგი მიღღევიანა უკედეთ ქეშპარტიტების, არამედ იმითიც, რომ ეს ბედნიერება და ღღთი კურთხევა შეკავშირებულია შეღღედელი და შესისხლხორცებულია მისს ერთგუნებასთან, მისს ვინაობასთან, მისს საღღესობასთან. სწორეთ დაუვიწყარია ის ღღედელი სურათი, რომელსაც მიღღეს ხოლომე ღღედანდელ საღამოს და ხვალინდელ ღღეს ღღდა თბილისის ეკლესიათა-სიონის ქებული ტაძარი: უშეღღედელი ტაძარი, მისს ღღადიანი და მთლათ მიღღამო დაქვერილია ხოლომე აუარებელი მლოცველებით. ამასთან ყველას ციური შუქი აფენია სახეზე, ყველა ბედნიერად გრძნობს თავის თავს, ღღდი და პატარა გახარებული უღღესაც ერთმან-

ნეთს ბედნიერ დღეს! ჩემს სიკაცხლოში არ გამო-
მივა მესხიერებიდან ის ღმობიერება და საღმრთო
გრანობა, რომლითაც დღევანდელ საღამოს გარს
ეღვება ხოლმე მთელი ქიზიყი წმ. ნინოს საფლავს-
ნინოს სახელის გაგონება, ნინოს ხატის დანახვა
ციური საამოივნების ქრუანტელს ჰკერის ქიზიყელს
ტანში, ნინოს საფლავის თავყანისცემით დამტკბარნი
და გამხრევებულნი, გულ-გაუტეხალად და მამაკურად
ეწვიან ქიზიყელები ცხოვრების მქაშე უღელს.
ამგვართვე პატივს ცემენ ქართველთა განმანათლებ-
ლის ხსენებას, წარმოიდგინეთ, ჩვენი ქვეყნის ისე-
თა განაპირა ქართველები-კი, როგორც ინგილონი,
ახალციხის მახრელები და კვეკეში მცხოვრებნი!

მით უფრო სამწუხაროა, მით უფრო სასირცხო
და დასაგმობია ის საოცარი, დაუჯერებელი გულ-
გრილობა, განურჩევლობა და დაუდევრობა, რომელ-
საც იწუნებს ამ შემთხვევაში დანარჩენი თავის თანამო-
ძმეებთან, შედარებით უფრო შეგნებული, გონებით
განვითარებული და ეკლესიური მიმართულებით
ვითომდა მაღლა მდგომი დასავლეთის ქართველობა.
აქ ხსენებაც არაა ნინოობისა, აქ თითხმეტი რიცხვი
იანერისა სულ უბრალო, სადავი და ჩვეულებრივია!
რითი ავლსნათ ეს გარემოება? რას მივაწეროთ ეს
ძნელად დასაჯერებელი ამბავი და რა მივიღოთ მისს
მიზნად ნუთუ „ქართველთა განმანათლებელი“ აქა-
ური ქართველების განმანათლებელი კი არ იყო?
ნუ-თუ აქაურები ასე საარაკო უმადურები არიან
და არ იციან, არ მოსდგათ მათ ჩვეულებად თავიანთი
კეთილისმყოფის დაფასება და სიყვარული? არა;
დიდი დანაშაული ჰქვია ცილის წამება იქნება როგორც
პირველი, ისე მეორე აზრის მიღება და დაჯერება.
აქაური ქართველები არ იცნობენ თავიანთ განმა-
ნათლებელს და ამის გამო არა აქვთ მისი მხურვალე
სიყვარული იმის გამო, რომ ამისათვის სრულებით
არ უფიქრიათ და არ უბრუნვიათ ვინც ვალდებუ-
ლნი იყვნენ ამაზე ფიქრსა და ზრუნვას. აქ დანაშა-
ული მთელი თავისი სიბრძნით ატყდება თავს აქაუ-
რი ეკლესიის წარმომადგენელთა, აქაურ სამღვდ-
ლოებს. ამ შემთხვევაში, უეჭველია, ჩვენი შესახებაც
ჰბრძანებს უფალი: „მღვდელთა მათთა შეურაცხ
ყენს შჯული ჩემი და მწიკვლევან ჰყოფდეს წმიდათა
ჩემთა. შორის წმიდისა არა განარჩევდეს, და შაბათ-
თაგან ჩემთა დაიფარვიდეს თვალთა მათთა (ეზექ.
22, 29). სატირალია, ქეშმარიტად სატირალი და

სავლოვია ასეთი შეუგნებლობა სამღვდლოების-
მხრივ თავისი უზუნაესი მოვალეობისა, მაგრამ, იმე-
ლია, მომავალში მაინც გამოისყიდის იგი ამ მძიმე
დანაშაულს, ამირიდან ეცდება, რამდენადაც-კი
შეუძლია, პირნათლად შეასრულოს თავისი განმა-
ნათლებელის სამსახური. მე-კი გულსმოდგინეთ გე-
ვედრებით, მორჩილებით და გულთი გთხოვთ ქალსა
და კაცსა, სწავლულს და უსწავლელს, სოფელს
და ქალაქელს თქვენდა საბედნიეროდ, თქვენდა
სასიხარულოდ, თქვენდა სასახელოდ და ღვთის კუ-
რთხევის შესაძენად გაითვალისწინათ დიდი მნიშ-
ვნელობა დღევანდელი დღისა მთელი ჩვენი ქვეყნი-
სათვის და დაიდგათ იგი თქვენ საკუთარ დღესასწა-
ულად, ვალდ გაიხადოთ სრული, გაუტეხელი აუ-
ცილებელი და ექვს გარეთი უქმობა მისი სულიერი
მზიარულებით. იცოდეთ, რომ იმისთანა წმინდანების
დავიწყება, როგორც არის მოციქულთა სწორი
დღეა ნინო, სწორეთ ის უმწიფარი ხილია (კაწარი),
რომელსაც მამანი სქამენ და შვილებს კი კბილებს
ავკეთს (იერემ. 31, 29). ამინ.

ქმისკაზისი ჯუჯიანი.



წმიდა ნინო.



სახელმძღვანელო, საყურადღებო, საქმიანო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

სააჰვო კითხვების განმარტება

კით. ავად-მყოფობის გამო, რომ მღვდელი თავს ანებებდეს სამსახურს ჰენსისის დროის გასრულებამდის საკმაო არ არის მარტო ერთი ექიმის მოწმობა?

პაგ. ავად-მყოფი მღვდლისა და მედავითნის შემოწმება, სრული ჰენსისის მისაღებად მან წლის სამსახურის გასრულებამდისინ, უნდა მოხდეს სასულიერო მთავრობის ანუ რომელიმე დაწესებულების განკარგულებით და წინადადებით დებუტატის თანადასწრებით, უთუოდ გუბერნიის ქალაქში გუბერნიის საექიმო მმართველის თანადასწრებით ან, თუ ავად-მყოფობის მიზეზისა გამო შესამოწმებელი პირის წყევასა არ შეიძლება გუბერნიის ქალაქში, მაშინ შემოწმება შეიძლება მაზრის ქალაქში—მაზრის საექიმო დაწესებულების წარმომადგენელთაგან, ან ქალაქებში ქალაქის საექიმო დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან. ამ უკანასკნელთაგან მიცემული შემოწმება უთუოდ დამოწმებული უნდა იყოს გუბერნიის საექიმო სამმართველოსაგან. ამისთანა შემოწმება უნდა იქნეს წარდგენილი მღვდელთმთავართან შტატგარეთ დათხოვნის ქალაქთან ერთად. თუ მოწმობით დამტკიცდა სნეულება მთხოვნელისა ჰენსისის წესდებულების მეთერთმეტე მუხლის თანახმად მაშინ მიიღებს ორას მანეთს და თუ მთხოვნელის შემოწმება იქნა თანახმად იმავე წესდებულების მე12-ტე მუხ. თანახმად მაშინ მიეცემა სამასი მანეთი. როცა სნეულების გამო ჰენსისის დროის შემოკლებას ითხოვენ ჯანმრთელობის შემოწმებასთან უნდა წარდგენილი იქნეს ნამსახურებითა სიაც.

კით. მე ვემსახურე მთავარ დიაკვნად მან წელიწადი და ხუთ წელზე მეტი მღვდლად, დღეს ვმსახურებ მთავარ დიაკვნის ადგილზე. მერგება თუ არა სრული ჰენსია მღვდლისა ე. ი. 300 მან.?

პაგ. სრული ჰენსია გერგებათ, ვინაიდან მედავითნის სამსახური დაეთვლება მღვდელს თუ მღვდლობაში ხუთი წელიწადი უმსახურნია.

კით. წლისა და ნახევრის სამსახური ბოლოდინობის თანამდებობაზე, მიანიჭებს თუ არა მთხოვნელს ცოტა რამე მეტ ჰენსისა?

პაგ. სამწუხაროდ, ზოგიერთ ამ კითხვის განმარტების მკითხველთა, უნდა ვაუწყოთ, რომ ჰენსისის წესდებულებით მათ ზედმეტი ჰენსია არ მიეცემათ. კანონით-კი შეუძლიათ თუ რამე ხარჯი მოუფიქრებთ ასე მოკლე დროით ბოლოდინობის თანამდებობის მიღებით მოითხოვონ სათანადო დაწესებულებათაგან დანახარჯი..

კით. შეუძლია თუ არა სამინისტრო სკოლის მეთვალყურეს, რომელიც ათი წელიწადი მსახურებდა მასწავლებლად, მღვდლად ეკურთხოს?

პაგ. ჩვენში სამინისტრო სკოლებს უსაფუძვლი უწოდებენ სახალხო სკოლებს, რომელნიც ხდნის გადასახალით არსებობენ. თუ მასწავლებელათ სემინარიის კურს დამთავრებულა შეუძლია თუ სემინარიელი არ არის—არ შეუძლია.

კით. შეუძლია თუ არა მაზრის მეთვალყურეს ქალაქის ან სამრევლო სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლად იყოს?

პაგ. ჩვენში შეუძლია, მაგრამ იქ სადაც მტკიცედ ითხოვენ მაზრის მეთვალყურისაგან მისი მოვალეობის აღსრულებას—არ შეუძლია.

რედაქციის პასუხი.

პ. გ.—ქს. დავითნი არსად იშოვება დღეს გასასყიდელი. არის მხოლოდ მხედრული ასათ დამეჭვილი ბრიტ. საზ. და ლირს 20 კ.

მდ. ზ. კ.—ს. თუ მასწავლებლად ან მედავითნედ არ არის სადმე დანიშნული, ეკრ დაიფარავს თავს სალდათად მსახურებისაგან. ერთი წლის ვადა კურსის გათავების შემდეგ მარტო სემინარიელებს ეძლევათ.

მდ. ად. შ.—ქს. 1897 წელში გამოგზავნილი კორიეს ბონდენციების დაბრუნება არ შეგვიძლია, რადგან ხუთი წლის განმავლობაში არ ინახავს რედაქცია გამოგზავნილი სტატუებს. წიგნი მივიღეთ, მაგრამ პატარა წიგნის („მთაქოს“) ფასი არავის მოუტანია.

საჭირო კლენდარული ცნობანი.

თოგენა.	რაგს.	კვირ.	სეპ.	სტ.ს.	თოგენა.	რაგს.	კვირ.	სეპ.	სტ.ს.
ინფარი.	4	327	10		ივლისი.	4	7	6	7
	11	338	11			11	8	7	8
	18	341	1			18	9	8	9
	25	352	2			25	10	1	10
თეზერვალე.	1	363	3		აგვისტო.	1	11	2	11
	8	374	4			8	12	3	1
	15	1	5			15	13	4	2
	29	2	6			22	14	5	3
						29	15	6	4
მარტი.	7	3	7	7	სექტემბერი.				
	14	4	8	8		1	16	7	5
აღდგმა.	21	5	ღ	ღ		12	17	8	6
	28	1	ღ	ღ		19	18	1	7
						26	19	2	8
აპრილი.	4	2	2	1	ოქტომბერი.	3	20	3	9
	11	3	3			10	21	4	10
	18	4	4			17	22	5	11
	25	5	5	7		24	23	6	1
მაისი.	2	6	6	8	ნოემბერი.	31	24	7	2
აძღვება.	6	—	ღ	ღ		7	25	8	3
	9	7	7	10		14	26	1	4
	16	8	1	ღ		21	27	2	5
	23	1	8	1		28	28	3	6
	30	2	1	2					
ივნისი.	6	3	2	3	დეკემბერი.	5	29	4	7
	13	4	3	4		12	30	5	8
	20	5	4	5		19	31	6	9
	27	6	5	6		26	32	7	10

იმის შესახებ თუ რომელ რიცხვს რომელი კვირაიქვს, ხმა და საცესკრო სახარება?

ბანცხალეზანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირულ გამოცემათა პარტულს

„მწყემს“-ზე

ღ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქუ რ ნ ა ღ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით «მწყემსი»	6 თვით «მწყემსი» 2მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 მ.	„ რუსული „ 2
„ რუსული „ 3მ.	„ ორივე გამოცემა 3
„ ორივე გამოცემა 3	

ბანცთზე ხელის-მოწერა შეიძლება დამავერდალაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატეცხაში შიქსთან, თბილისში წყარა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუთუყაშვილთან, ხსადსენაკში — ბლოლიჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოცლის მასწავლებელთ და დარბით განზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ. რედაქცია იმყოფება დ. ევარდალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დებარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирпы, вь редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კითხვით დრო-გამოშვებით ქურნალიში დაც იმეძლება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის „**ცნობის ფურცელი**“ სურათებიანი დამატებით კვირადი რველ (წელიწადი მეცხრე)

გაზეთის ფასი გაგზავნით: რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ. 6 თვით 4 მ. 1 თვით 50 კან., სამხედვარ-გარეთ ერთი წლით 9 მან., 6 თვით 5 მ., 1 თვით 90 კ. თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაგზავნება. წლიურ ფასის განწალება: ხელის მომწერისათსავე 4 მ. დანახუნებ 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ქურნალი
„მთაგებე“
 (წელიწადი მეორთმეცხრე)

ფასი ქურნალის გაგზავნით: რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან. 6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. სამხედვარ-გარეთ: ერთი წლით 13 მანეთა, 6 თვით — 7 მან., 3 თვით — 5 მ.,

ვინც „მოამბეა“ მეორე წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით უფასოთ გაგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის მოწერისათსავე უნდა იქმნის შემოტანილ.

წლიურა ფასის განწალება ორივე გამოცემაზე: პირველად 6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მან.

1-ლ ავისტომდე — 3 მან. როთორც «ცნობის ფურცლის» ისე «მოამბის» მსოფლოდ წლიურ ხელის მომწერთ, პრემიად

გაგზავნებათ ეველა — ნაწურები
ალ. ყ ა წ გ ე მ ი ს ა

1904 წელს „ცნობის ფურცლის დამატებაში დიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქათვლას ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დიწყება **ბუჩიიდან**. სურათები იქნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანაშით ნახატე, ბ. გვიაშვილის მიერ.

გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მომწერთ გაგზავნებათ წლის განმავლობაში

ოთხი საშაგზვილო წიგანი სურათებით
 (კამთვა სამ თვეში ერთსკელ)
ოთხი წიგნი ზეადგენს 250 ზმირღს.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერი“

გმოვა იმავე სიწრტით და სრულის ჰროგრა-
მით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ
გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთს გარდა,
რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რე-
დაქციის სხვა ჩვენი მწერლებიც დაპირდენ თან-
მშრომლობას.

ფასი გაზეთისა ისევ **თუხანია** ამ ფულის შემოტანა
ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მოძვერთ, რომელნიც
სრულ ფასს შემოიტანენ **1** თებერვლამდე,
დაურთვებთ ჰრემიად გრ. ლ. ნ. ტოლსტოის
რომანი **«ალღოგა»** («ВОСКРЕСЕНИЕ»).

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს
გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის
მასწავლებელთა უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს
სასწავლებელთა მოწაფეთ და ყველა ხელოსანს:

ხელის მიღწერა მიიღება:

ტფილისში: „ივერის“ რედაქცია (თავად აზნაურთა
ქარვასლა №117 და 118) და ქ. შ. წერა-
კითხვ. გამაგრ. საზოგადოების წიგნის მღაზია
(სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა).
ქუთაისში: ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მა-
ღაზიაში,

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში,
და ქედიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჯაში: პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში: პართენ ნასიძესთან.
განჯაში: სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში: ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ.,
მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალ-
კე მორიგებით.

სოფოსტო აღრესი: **თიფლის, Редакция
«Иверія».**

წლიური ფასის გარდა, ქალაქ-გარედ ხელის-მოძვერლებმა
პრემიის გასაგზავნად რედაქციას უნდა გამოუგზავნონ ფოსტის
ხარჯად 55 კ.

რედაქცია უმოწინავედ სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გა-
ზეთთან დაკვეთის მსურველთ, 25 დაკვეთამდე დაი-
კეთონ, რომ კანტონამ მოასწროს ადრესების დამზადებას
და არ დააკვირანს გამოცემათა გაცხადებას.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუ-
ჩაზე. ტელეფონი № 372

აღრესი რედაქციისა: **თიფლის, въ редакцію
„Иоаннъ“ и „Цнобись-Пурцели“.**
3-3

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი

„გველი“

(წელიწადი ზე არმეტე)

გამოვა 1904 წელსაც ყოველ კვირა დღეს ერთიდან
სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი **ტფილისში**: ერთი წლითღირს 7
კაპ., ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., სამი თვით—
მ. თითო ნომერი—15 კაპ. **ტფილისს გარეშე**:
ერთი წლით ღირს 8 მან., ნახევარი წლით—4 მან.,
სამი თვით—2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
ხელის მოძვერლებს შეუძლიათ წლის ფულს
ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კით-
ხვის საზოგადოების კანცელარიაში» (სასახლის ქუჩა,
თავად-აზნაურთა ქარვასლა); რკინის გზის
სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარ-
ტიშვილთან და თვით «კვლის» რედაქციაში.

(რუსის ბაზარი, საეკკლესიო სახლებში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში: მიტროფანე დიადქესთან და ვ.
ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; და ქუთაისის
გამომცემელ აშხანავთის კიოსკში; ბათუმში სპ.
ქედიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ხსალ-
სენაპში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში,
ჭიათურაში—კლ. ქიქინაძესთან და ვ. ბერიძესთან;
ვირჯილაში ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—
ახსალთა სამკითხველოში; ძველ სენაკში *არსენ
წითლიძესთან; ოზურგეთში დომენტი შავიშვილთან;
საბუნჯაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

ფოსტის აღრესი: **თიფლის, Редакция „Квали“**

საქართველო სასაბჭოთაო ურნალი

„ჯეჯილი“

ფილიზადი № 15-ბმ

გამოვა 1904 წელს თეში ერთხელ. ურნალიში არი განყოფილება: ზატრანებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილი“ მონ წილოვანს მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდან დაიწყება ბეჭედი ინგლისელ მწერლის მარკ ტვენის მოთხრობისა: ტანტის შემკვიდრე და მათხოვარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მოშვერებს დაუზავდება ზრემათ დასურათებული ზდანტების კრებული.

ურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მან. ქალაქ გარე 5 მ. ცალკე ნომერი 50 კ.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „წერაკითხვის გაავრც. საზ. კანცელარიაში და თვით „ჯეჯილი“ დედაქციაში (Артиллерийская ул. № 5). ფოსტის ადრესი: Вь Тифлиси, ред. груз. дѣтскаго журнала Д ж е д ж и л и.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლის ურნალ

მომზაურებელ

გარდა ურნალისა, რომელშიაც მოთავსებულ იქნება სახელგანთავი, სამეურნეო, სამეცნიერო და საისტორიო-საეცნოგრაფიო წერილები, 1904 წლის ხელის მოშვერებს ეკავსაზნება მუქთად

სუთი პრემია

- 1) დიდი სუათი ნიკოლოზ ბარათაშვილისა,
 - 2) „მსოფლიო სუათიში“,
 - 3) „სრულიად სამართხლოზ ვიომგრაფია“,
 - 4) „სამომზრნომ-საოჯანო ნარკვეში“,
 - 5) „სამომზრნომ და სამიგიანო ნარკვეში“,
- ადრესი: Вь Тифлиси, Редакция «Могзаури».

3-2

შვირილაუი ცალთბის მანწავლებელი სერგეი ჯინჭვკლამილი ასწავლის ქართულს საეკელესიო და სერო ცალთბას ნოტებში საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ვასილ მაჭავარიანის სახლი—სუდა ხიდის ზირდანირ.

ქუთისში

ს. მ. პ. თაძუყორიას

ს ა ა ვ ა დ მ ე ო ფ ო უ ი,

რომელიც იეოფება მთი უმადლეუსობის ზრინც აღეკსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის კემში, 75 საწოლია მინატან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალთ პავადემოფთათვის, მომბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეკით, გადამდების სენითა და სუღით ავადემოფთ სამეურნალო არ ღებულთბს.

ფასი დღე-ღამეში ქამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე. (7)

ამით ვაუწევებ ზატრეცემულ სერო და სამდღეალო წოდებას, რომ მე ვავსენი დაბა ვერილბაში სადურგლო კანკელისა და იეონოსტასების დასამზადებლად. კანკელუს, ცალკე სამეუფო კარებსაც ვიდებთ ძლიერ იაფად. იმედი ეკავს, რომ ზატრეცემული საზოგადოებ და სამდღეალოება ჩვენი ნაკეთებით არ დარჩება უკმაყოფილო.

იკონსტანის მეკთებეა ტ. ჯიშკარანა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе. Дозволено цензурою Архимандритъ Георгій января 30 1904 г.

Типог. редакция журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собст. домѣ.